ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 დეკემბერი
კვირა
1974
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 287 (16108)

მეცხვარეობის ხვალინდელი დღე

პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის ანგარიში — „მეცხვარეობას — ინდუსტრიული საფუძველი, მაღალი ეფექტიანობა!“ ამ თათბირზე გაიმართა დიდი და საფუძვლიანი მსჯელობა საზოგადოებრივი მეცხვარეობის ეფექტიანობის ამაღლების, სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანის გზების, მეცხვარეთათვის საიმედო მატერიალური და მორალური წახალისების უზრუნველყოფის შესახებ. როგორც ვხედავთ, ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის, მისი რენტაბელურ დარგად გადაქცევისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საკითხს. ამის შესახებ გარკვევით, პრინციპულად იყო ლაპარაკი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია რესპუბლიკის მეცხვარეობის დარგის მუშაკთა წინაშე სვამს საკითხს, რომ შემუშავდეს და დაინერგოს ცხვრის სამთო-სამომთაბარეო შენახვის პირობებში მატყლის, ცხვრის ხორცისა და ყველის წარმოების ორგანიზაციის ახალი, ეფექტიანი ფორმები. ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ თითქმის უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მეცხვარეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ეს დარგი დაქვეითდა და 2,57 მილიონი ცხვრის სულადობა, რომელიც 1953 წელს იყო, ერთობ შემცირდა.

მეცხვარეობის რაიონების ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ დარგის შემდგომ განვითარებას, ცხვრის სულადობის გადიდებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე საგარეჯოს, გურჯაანის, ბოლნისის, თეთრი წყაროს რაიონებში. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში შარშან ყველა ჯგუფის ცხვრის 4 პროცენტი გაწყდა, წლეულს ეს რიცხვი თითქმის გასამკეცდა და 11,9 პროცენტია. შარშან თუ 2.337 სული ცხვარი გაწყდა, წლეულს ამ რიცხვმა 6.049 სულს მიაღწია და ახლა თეთრწყაროელებს შარშანდელი 41.152 ცხვრის ნაცვლად 34.956 სული ჰყავთ.

დღემდე, აღინიშნა თათბირზე, რესპუბლიკაში ჯეროვან დონეზე არ წყდება მეცხვარეობის მთელი რიგი პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც უფრო წარმატებით სრულდება ამიერკავკასიისა და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დასანერგავად. ამ მხრივ ბევრი კარგის გადმოღება შეიძლებოდა სტავროპოლის მხარის მეცხვარეებისაგან. იქაური მეცხვარეები, სოციალისტური შრომის გმირები ვ. რუდენკო, დ. მოლჩანოვი, ნ. კოლობოვი და ბევრი სხვა ყოველ 100 დედაცხვრიდან 130-140 ბატკანს იღებენ. სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 36 მეცხვარეობის კომპლექსია, სადაც 130.000 ცხვარს უვლიან და იაფ პროდუქტებს აწარმოებენ. აქვე არის 40 მექანიზებული სასუქებელი მოედანი, სადაც 300.000 ცხვარს ასუქებენ.

მატყლისა და ხორცის გამოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იაფი საკვების წარმოებას. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საკვების წარმოება წინ უსწრებდეს პირუტყვის სულადობის ზრდას. მაშინ შუა ზამთარში აღარ დაგვჭირდება საკვების ძებნა და ცხვარიც ყოველთვის ნორმალურად გამოიზამთრებს.

ცხვარი უმეცხვაროდ წარმოუდგენელია. თუ გვინდა, რომ ცხვარი გავამრავლოთ, თუ გვინდა, რომ ცხვრის პროდუქტების წარმოებამ და დამზადებამ იმატოს, თუ გვინდა, რომ მეცხვარეობა ყველგან რენტაბელური იყოს, საჭიროა თანმიმდევრულად განვახორციელოთ ამ დარგის ინდუსტრიალიზაცია, შევქმნათ ცხვრის სტაციონარული მოვლა-შენახვის დიდი კომპლექსები, რათა მეცხვარეს გავუიოლოთ მძიმე შრომა. ამ საერთო-სახალხო საქმისადმი ასეთი მიდგომა ერთდროულად გადაწყვეტს რამდენიმე რთულ პრობლემას — განმტკიცდება მეცხვარეობის საკვები ბაზა, იგი ნაკლებად იქნება დამოკიდებული ამინდზე, მნიშვნელოვნად ამაღლდება მწყემსის შრომის ნაყოფიერება და ბუნებრივია, ჩვენი მწყემსებიც არ იმღერებენ ნაღვლიან ლექსს:

> „რახამ ირევით, ღრუბლებო, რათ არ დადგებით ზღვაზეო,
> მაგ თქვენმა ჭექა-ქუხილმა გულ გამიტეხა ცხვარზეო,
> სველი მიგდია ნაბადი, ვერ დამიხურავს ტანზეო“.

თანდათან, გეგმაზომიერად უნდა გადავიდეთ პატარა ფერმებიდან დიდ კომპლექსებზე.

მუდამ უნდა გვახსოვდეს და მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საბრძოლო მითითებით: ძირეულად უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება მეცხვარეობისადმი. საჭიროა მტკიცე საფუძველზე დავაყენოთ ეს დარგი, გამოვყოთ კაპიტალური დაბანდებანი, ტექნიკა, საშენი მასალები, გამოვიჩინოთ ყურადღება და ზრუნვა მწყემსებისადმი, ყველა მუშაკისადმი, რომლებიც მეცხვარეობაში არიან დასაქმებული. მხოლოდ ამ გზით უზრუნველვყოფთ მეცხვარეობის მკვეთრ აღმავლობას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მეცხვარეობის განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან, სამინისტროებისა და უწყებების მუშაკებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან, მწყემსებისა და ბრიგადირებისაგან, ყველასაგან, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხვარეობის შემდგომი განვითარების ინტერესები, მოელის რჩევა-დარიგებებს, წინადადებებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს დარგის სრულყოფისათვის, ჩვენი მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის მაღალი დონის მიღწევისათვის, ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანისათვის.

მეცხვარეობას, მის ხვალინდელ დღეს — მუდმივი, ყოველდღიური მზრუნველობა და ყურადღება!

წლის ბოლომდე 23 დღე დარჩა

ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური!

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

გეგმა განაღდებულია

ენგურჰესის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის წლიური დავალება პირველმა გაანაღდა მშენებლობის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი შ. ქირია) კოლექტივმა, წლის პროგრამა დაძლეულია 3 დეკემბრისათვის. ამ მოწინავე კოლექტივის ანგარიშზე გამოშვებულია 8 მილიონ 31 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 მილიონ 20 ათასი მანეთისა.

გაერთიანებაში ლიდერობას არ თმობენ ციკლური მოქმედების ბეტონის ქარხნის (უფროსი რ. თვალაბეიშვილი), გამამდიდრებელი ფაბრიკის (უფროსი ი. ცხადაია), რუხის ინერტული მასალის დამხარისხებელი ქარხნის (უფროსი მ. კაკაშვილი) კოლექტივები.

წლის ბოლომდე დარჩენილი დღეები ენგურზე გამოცხადებულია დამკვრელურად. ამ შეჯიბრებაში ჩაბმულია თითქმის ყველა ჰიდრომშენებელი.

ლ. ბარქაია,

გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

მეხილეთა ნობათი

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა საბჭოთა კონსტიტუციის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის წლიური გეგმა-ვალდებულება. სახელმწიფოს მიეყიდა 2.490 ტონა ხილი ნაცვლად გათვალისწინებული 2.410 ტონისა, რაც გეგმა-ვალდებულების 103,2 პროცენტს შეადგენს.

ეს რედაქციას აცნობა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვლ. გვარჯალაძემ.**

სახელი და დიდება შრომის ვეტერანებს!



თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ცნობილი ზეინკალ-ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ პაპინაშვილი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი.

(წერილი ვ. პაპინაშვილის შესახებ იხილეთ მესამე გვერდზე).

დამთავრდა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში

6 დეკემბერს პარიზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანთან ჟორჟ მარშესთან. სურათზე: საუბრის დროს.

საკდესის ფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხ. ჟ. მარშეს საუბარი

6 დეკემბერს პარიზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ჟორჟ მარშეს.

საუბრის დამთავრების შემდეგ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა და სადილი, რომელზეც საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები პ. ა. აბრასიმოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, ს. ვ. ჩერვონენკო, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ა. მ. ალექსანდროვი, გ. ა. ჟუკოვი, ვ. ვ. ზაგლადინი, ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი; საფრანგეთის მხრივ: საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები რ. ლეროა, გ. პლისონიე, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ჟ. კანაპა, შ. ფიტერმანი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს გააცნო ღონისძიებები, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომი გაღრმავებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა და ფრანგი ხალხების, სსრ კავშირისა და საფრანგეთის ტრადიციული მეგობრობის განვითარებას.

საუბრის დროს ფრანგმა ამხანაგებმა დიდად შეაფასეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შედეგები, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა წარმატებულ ბრძოლას. მათ თქვეს, რომ საფრანგეთის კომპარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც აქტიურად შეუწყოს ხელი საფრანგეთის პოზიტიურ წვლილს დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის საქმეში, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის, როგორც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის, განვითარებას, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმური სოლიდარობა ფრანგ კომუნისტთა კეთილშობილურ, ღრმად პატრიოტულ და თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტურ საქმიანობასთან.

აღინიშნა ორი პარტიის ძმური თანამშრომლობის კეთილნაყოფიერი გავლენა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობის განვითარებაზე და ხაზი გაესვა, რომ ორი პარტია აპირებს ამ თანამშრომლობის კვლავაც გაღრმავებას.

საუბარმა და შეხვედრამ გულითადი მეგობრობის, სოლიდარობის, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთიდან გამოემგზავრა

პარიზი. 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც საფრანგეთში იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ'ესტენის მოწვევით, დღეს პარიზიდან სამშობლოში გაემგზავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ორლის აეროპორტში გააცილეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ'ესტენმა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟ. შირაკმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. სოვანიარგმა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ჟ.-პ. ფურკადმა, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალურმა მდივანმა კ. პიერ-ბროსოლეტმა, საფრანგეთის ელჩმა სსრ კავშირში ჟ. ვიმონმა.

საფრენ მოედანზე პატივსცემის სალონის შენობის წინ, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით, ჩამწკრივდა საპატიო ყარაული. ეროვნული გვარდიის ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

პატივსცემის სალონში შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ'ესტენს, რომლებსაც მიართვეს თაიგულები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ი. აბრასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკომ, საბჭოთა საელჩოს დიპლომატიურმა თანამშრომლებმა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

7 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პარიზიდან მოსკოვში დაბრუნდა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ ამხანაგები ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. ფ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. პ. ბუგაევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ე. ტ. ნოვიკოვი, გ. ს. პავლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, გ. ე. ცუკანოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ს. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი კ. მ. ბოგოლიუბოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ს. შაპოშნიკოვი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ოფიციალური პირნი, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევს ახლდნენ საფრანგეთში მოგზაურობის დროს.

დამხვდურთა შორის აეროდრომზე იყვნენ საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ფ. იუსონი, საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევის საბოლოო საუბარი ვ. ჟისკარ დ'ესტენთან

7 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს საფრანგეთის პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენთან ჰქონდა საბოლოო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი.

გაგრძელდა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის განიარაღების ზოგიერთ საკითხზე.

შეაჯამეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მეოთხე სამუშაო შეხვედრის დროს გამართული მოლაპარაკების საერთო შედეგები. ამასთან მხარეებმა მაღალი შეფასება მისცეს მიღწეულ კონკრეტულ შედეგებს, რომლებიც აისახება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დასკვნით კომუნიკეში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ჟისკარ დ'ესტენმა კმაყოფილებით აღნიშნეს კონსტრუქციული სულისკვეთება და გულთბილობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, რომლებითაც გამსჭვალული იყო ყველა საუბარი. (საკდესი).

მის უდიდებულესობას
ბატონ ვალერი ჟისკარ დ'ესტენს
საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პარიზი, ელისეს სასახლე.

თქვენს მშვენიერ ქვეყანასთან განშორებისას ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, პირადად და ყველა ჩემი ამხანაგის სახელით გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

როცა ვაჯამებთ ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების შედეგებს, კვლავ ვრწმუნდებით, რომ რამბუიეში კარგი საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლები აღინიშნება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მრავალმხრივი თანამშრომლობის ახალი აღმავლობით ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ და მოგესალმებით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მთელ ფრანგ ხალხს.

ლ. ბრეჟნევი

„ილ-62“ თვითმფრინავი,
1974 წლის 7 დეკემბერი.

მიფრინავს „სოიუზ-16“

ფრენის მართვის ცენტრი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გრძელდება „სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის ფრენა. მოსკოვის დროით 12 საათისათვის ხომალდმა 81-ჯერ შემოუარა დედამიწას.

ფრენის დროს კოსმონავტები ა. ვ. ფილიპჩენკო და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი განაგრძობდნენ ავტომატური სისტემისა და შესაპირაპირებელი აგრეგატის ცალკეული კვანძების გამოცდას, აწარმოებდნენ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, სამოცდამერვე და სამოცდამეცხრე გარშემოვლის დროს ფოტოსურათები გადაუღეს დღის ჰორიზონტის პანორამას პოლარიზებულ სინათლეში დაახლოებით 30 ათასი კილომეტრი სიგრძის ტრასაზე. რეალური კოსმოსური ფრენის პირობებში მომავალი ერთობლივი ფრენისათვის დაგეგმილი „მზის ხელოვნური დაბნელების“ ექსპერიმენტის მოწყობილობის ძირითადი ელემენტების შემოწმების მიზნით კოსმონავტებმა ფოტოსურათები გადაუღეს ვარსკვლავიანი ცის არჩეულ მონაკვეთს.

ხომალდის ეკიპაჟმა დაიწყო მზადება დედამიწაზე ჩამოსასვლელად, ამოწმებს მართვის, ენერგოკვების, ძრავის დანადგარის სისტემებს დასაბრუნებლად, ამზადებს მეცნიერული კვლევის მასალებს. ფრენის პროგრამის შესაბამისად ნაკვეთურებში ვერცხლისწყლის სვეტის წნევა 760 მილიმეტრამდე აამაღლეს.

ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. ა. ვ. ფილიპჩენკოსა და ნ. ნ. რუკავიშნიკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გუნება კარგია. ფრენა გრძელდება.

პარიზი. 7 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პარიზიდან სამშობლოში გამოემგზავრა. სურათზე: ორლის აეროპორტიდან გაცილების დროს.

საკდესის ფოტო. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი და ვ. ჟისკარ დ' ესტენი ესაუბრნენ ჟურნალისტებს

პარიზი, 7 დეკემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ' ესტენი მოსკოვში ლ. ი. ბრეჟნევის გაფრენის წინ ესაუბრნენ საბჭოთა და ფრანგ ჟურნალისტებს.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რამბუიეში საფრანგეთის პრეზიდენტთან გამართული საუბრების არსი და მნიშვნელობა ის არის, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობას მიეცა ახალი იმპულსი, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიურ ისე აგრეთვე კულტურულ დარგში.

ჩვენ საფრანგეთში ჩამოვედით, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, კეთილი განზრახვით და გაწეული მუშაობის შედეგებით სავსებით კმაყოფილი მივემგზავრებით. შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკება იყო კარგი და ნაყოფიერი. ეს იყო რეალისტური და კონსტრუქციული მოლაპარაკება. იგი მიმდინარეობდა ურთიერთგაგების, თანხმობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. ამ მოლაპარაკების უმნიშვნელოვანესი შედეგები ფიქსირებულია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივ დოკუმენტში. ეს დოკუმენტი — კომუნიკე — დღეს გამოქვეყნდება. იგი სავსებით ცხადყოფს შეხვედრის დიდ მნიშვნელობას.

ლ. ი. ბრეჟნევმა შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ სთხოვა საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენს ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საბჭოთა კავშირს, და რომ პრეზიდენტი დათანხმდა ამ მიწვევას. საბჭოთა კავშირში მას დიდ ყურადღებას და მასპინძლობას არ მოაკლებენ.

ჟურნალისტებთან გამოთხოვებისას ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა გადაუხადა მათ ვიზიტისა და გამართული მოლაპარაკების ფართო და ობიექტური გაშუქებისათვის.

სამი დღის განმავლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და მე მეტად სასარგებლო მოლაპარაკება გვქონდა, უთხრა ჟურნალისტებს საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა. განვიხილეთ, როგორც მთლიანად დიდმნიშვნელოვანი მსოფლიო პრობლემები, ისე ორმხრივი ურთიერთობის ძირითადი საკითხები, და აღვნიშნეთ, რომ ამ პრობლემებში ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს უახლოვდება.

დარწმუნებული ვარ, თქვა მან შემდეგ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტმა არა მარტო განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობა, არამედ ამ თანამშრომლობას მისცა ახალი გაქანება ჩვენი ორი ქვეყნის ინტერესებისათვის, მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ დათანხმდა ლ. ი. ბრეჟნევის მიწვევას საბჭოთა კავშირში ჩავიდეს მომავალ წელს.

მინდა გითხრათ, განაგრძო მან, რომ დიდად ამაღელვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან მოლაპარაკების გულითადობამ, უბრალოებამ და გულახდილობამ.

მადლობა რამბუიეს მერს

რამბუიე. 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ქალაქ რამბუიეს მერს ქალბატონ ჟაკლინ ტომ-პატენოტრს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: თქვენმა ქალაქმა უკვე მეორედ გაგვიწია გულთბილი მასპინძლობა. ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ და გისურვოთ ბედნიერება და კეთილდღეობა თქვენ და თქვენი სახით — რამბუიეს ყველა მცხოვრებს.

ვ. ჟისკარ დ' ესტენის განცხადება

პარიზი. 7 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით გააკეთა განცხადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან მოლაპარაკების შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად, თქვა მან, განვიხილეთ ორივე მხარისათვის საინტერესო ყველა პრობლემა, ესე იგი საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ორმხრივი პრობლემები და ამავე დროს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ეხება ჩვენს ორ ქვეყანას, ყველა ამ საკითხზე შეთანხმებას მივაღწიეთ.

ორმხრივი პრობლემების თაობაზე დაიდო შეთანხმებები, რომლებიც ძირითადად საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელოვან განვითარებას ეხება. თქვენ იცით, განაცხადა პრეზიდენტმა, რომ ეს არის საქმე, რომელთანაც პირადად მე მჭიდროდ ვარ დაკავშირებული, რადგან 12 წლის წინათ ვიყავი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური თანამშრომლობის პიონერი. ჩვენს ქვეყნებს აქვთ მსხვილი მრეწველობა და დიდი ურთიერთშემვსები საშუალებები, და ახლა ეკონომიურ თანამშრომლობას მნიშვნელოვან დონეზე ავამაღლებთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ კაპიტალდაბანდებათა მთელი რიგი პროექტები, კერძოდ დიდი კრედიტი, რომელსაც საფრანგეთი საბჭოთა კავშირს მისცემს კაპიტალური მოწყობილობის შესაძენად. ჩვენ გავითვალისწინეთ თანამშრომლობა გაზისა და ნავთობის დარგში.

ვ. ჟისკარ დ' ესტენმა აღნიშნა, რომ განიხილეს აგრეთვე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები, მთელი მსოფლიოს მშვიდობის პრობლემები, ევროპის უშიშროება და ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა; ჩვენ ძალიან დაწვრილებით, ღრმად გავაანალიზეთ მსოფლიოს ამ რაიონებში შექმნილი მდგომარეობა. ჩვენს კომუნიკეში აღინიშნება, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თვალსაზრისი ერთნაირია ამ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხებში,— აღნიშნა პრეზიდენტმა.

გარშემოვლა

ანგარიშების ზუსტ ციფრებში, რომლებითაც აღსავსეა „სოიუზ-16" ხომალდთან კავშირის ყოველი სეანსი, ზოგჯერ უჩვეულოდ გაისმის ლათინური ტერმინები, რომლებიც ალბათ მხოლოდ ბიოლოგებისათვის არის გასაგები. კრეპისი და არაბიდობსისი — ასე ეწოდება ჩვეულებრივ გაზონის სარეველებს, რომელთა თესლი უკვე ხუთი დღეა ვითარდება ხომალდზე უწონობის პირობებში.

ამ ბიოლოგიური ლაბორატორიისათვის ორბიტაზე პასუხისმგებელია ბორტინჟინერი. „კრეპსის თესლი დავატენიანეთ, თვალს ვადევნებთ განვითარებას", — გადმოცა მან დედამიწაზე და ხუმრობით დასძინა: „ცნობა გადმოსცა ლაბორანტმა რუკავიშნიკოვმა". ამ ექსპერიმენტის განმხორციელებელმა ბიოლოგებმა განმარტეს, რომ ეს ცდები აინტერესებთ ცოცხალი ორგანიზმების შესახებ მეცნიერების ახალი დარგის — გრავიტაციული ბიოლოგიის წარმომადგენლებს. დედამიწის პირობებში, როგორც ცნობილია, ყოველგვარი მცენარის ფესვი მიემართება დედამიწის ცენტრისაკენ და ამრიგად, მიმართულებას აძლევს ღივს, თუნდაც იგი განათებული არ იყოს. უწონობის პირობებში კი მცენარის ჩამოყალიბებისათვის ბიძგის მიმცემია არა გრავიტაცია, არამედ სინათლე. ღივი მიიწევს სინათლისაკენ, ხოლო მარტო ამის შემდეგ ფესვები იწყებს განვითარებას მოპირდაპირე მიმართულებით.

ამ ორბიტულ ბიოლოგიურ ლაბორატორიაში სხვა საინტერესო ცდებიც წარმოებს. მეცნიერმა გეოფიზიკოსებმა სთხოვეს კოსმონავტებს განეხორციელებინათ ექსპერიმენტი ეგრეთწოდებულ ზონისწარმომქმნელ სოკოებზე. ამ მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმების შესასწავლად. დედამიწაზე მყოფი ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ემორჩილება ზუსტ დროებრივ ციკლებს — დღე-ღამიდან დაწყებული, რომელსაც წარმართავს დედამიწის ბრუნვა, 11-წლიანი ციკლით დამთავრებული, რომელსაც წარმართავს მზის აქტივობის პერიოდები. სპეციალურ აპარატებში — ბიოკატებში განვითარებული პატარა სოკოები შეუიარაღებელი თვალით უხილავ სხეულ-ზონას ქმნიან ზუსტად ერთ დღე-ღამეში, და ამრიგად, ქმნიან ზუსტ კონცენტრულ მონახაზს, რომელიც ხის განაჭერის რგოლებს ჰგავს.

მაგრამ ამ ორბიტულ ლაბორატორიაში დღე-ღამე მხოლოდ 90 წუთს გრძელდება. როგორ მოიქცევიან ასეთ პირობებში საცდელი ორგანიზმები? (კ. მ.) ამას მეცნიერები ლაბორატორიის დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ შეიტყობენ.

და ბოლოს, „სოიუზ-16" ხომალდზე განხორციელებული კიდევ ერთი ექსპერიმენტი განსაკუთრებით საინტერესო იქნება მოყვარული აკვარიუმისტებისათვის. ზოლებიანი თევზები დანიო-რერიო ორი კვირის განმავლობაში ჰყავდათ კოსმოდრომზე სპეციალურ აკვარიუმებში. ბიოლოგებს მათგან უსათუოდ უნდა მიეღოთ ქვირითი სტარტამდე სამი საათით ადრე. და ეს მოხერხდა. ქვირითი მოათავსეს ჰერმეტულ ამპულა-თერმოსტატებში. და ახლა ამ ქვირითიდან, მეცნიერთა განგარიშებით, უნდა გამოიჩეკონ ლიფსიტები. ექსპერიმენტის მეცნიერული ამოცანა უაღრესად მარტივია — უნდა ვიცოდეთ, როგორ იქმნება ცოცხალი ორგანიზმის ვესტიბულარული აპარატი უწონობის პირობებში. ეს მონაცემები ბიოლოგებსაც აინტერესებთ და მედიკოსებსაც.

ფრენის მეხუთე დღე, რომელიც 6 დეკემბერს შუადღეზე დაიწყო, კოსმონავტთა სამუშაო გრაფიკის სიმჭიდროვით თითქმის არ განსხვავდება წინა დღეების გრაფიკისაგან. ეკიპაჟი, ფრენის ხელმძღვანელის ა. ს. ელისეევის სიტყვებით, ცხადყოფს ზუსტი მუშაობის ბრწყინვალე ჩვევებს რთული საინჟინრო და მეცნიერული ექსპერიმენტების განხორციელებაში. ხომალდი კვლავ გარს უვლის ორბიტას, და ყოველ 90 წუთში კოსმონავტები ზუსტად მოახსენებენ ხომალდში გაწეული მუშაობის შესახებ. კიდევ ერთხელ და კვლავ წარმატებით მოეწყო „შეპირაპირების ტესტები" ხომალდის ახალი შესაპირაპირებელი კვანძის დასახვეწი სხვადასხვა ოპერაცია.

ფრენის მართვის ჯგუფში ყოველდღე არიან ისინიც, ვინც განსაკუთრებული ყურადღებითა და მონდომებით ადევნებს თვალს პროგრამის შესრულების ყოველ დეტალს. ესენი არიან საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტში ხომალდ „სოიუზის" პირველი ეკიპაჟის წევრები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი. ახლანდელმა გაფრენამ ბევრი მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა არა მარტო ხომალდის ცალკეული კვანძების გამომცდელ ინჟინრებსა და კოსმოსური ფრენის მართვის სპეციალისტებს, არამედ „სოიუზ" და „აპოლონ" ხომალდების მომავალი ფრენის კოსმონავტებსაც.

ნ. ჟელეზნოვი.
საკდესის სპეც. კორ.
ფრენის მართვის ცენტრი.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კომუნიკე

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ' ესტენის მოწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი 1974 წლის 4-7 დეკემბერს სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთში.

საუბრებში, რომლებიც რამბუიეში გაიმართა, მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე პ. ა. აბრასიმოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკდესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. დუბინინი;

საფრანგეთის მხრივ — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ჟ.-პ. ფურკადი, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მდივანი ნ. სეგარი, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი კ. პიერ-ბროსოლეტი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟ. დე კურსელი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი, საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩევლები ჟ.-პ. დიუტე, ჟ. გუიუ-ბოშანი, გ. რობენი.

შეხვედრა გამსჭვალული იყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით და დაადასტურა ორ ქვეყანას შორის თანხმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის მემკვიდრეობითობა, რაც მათი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი და მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი მუდმივი ფაქტორია. ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ჟისკარ დ' ესტენმა აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ორივე მხარე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ისეთ ფუძემდებელ დოკუმენტებს, როგორიცაა 1970 წლის ოქმი პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ და 1971 წელს ხელმოწერილი სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპები.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროპის მდგომარეობის განვითარებას. მათ გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ კონტინენტის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესება აფართოებს ევროპის შესაძლებლობას შეიტანოს წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. სსრ კავშირი და საფრანგეთი, თავის მხრივ, აქტიურად მოქმედებენ, რომ ხელი შეუწყონ ასეთ განვითარებას და წაახალისონ იგი. მათი აზრით, ევროპის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს 1971 წლის 30 სექტემბრის ოთხმხრივი შეთანხმება.

გაღრმავებული მსჯელობის საგანი გახდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობის მიმდინარეობა. ორივე მხარემ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ თათბირს, რომელიც ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლია. მათ მიაჩნიათ, რომ თათბირის წარმატება ხელს შეუწყობს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას. მხარეები გამოთქვამენ კმაყოფილებას იმ წვლილის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა, ეყრდნობიან რა, კერძოდ, თავიანთი ურთიერთობის გამოცდილებას, შეიტანეს და კვლავაც შეაქვთ თათბირის მუშაობაში თავიანთი საკუთარი ინიციატივებით და ურთიერთკონსულტაციების გზით.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ჟენევის თათბირის მეორე ეტაპზე მიღწეულია არსებითი პროგრესი, კერძოდ, უკანასკნელი კვირების მანძილზე, დასკვნითი დოკუმენტების პროექტების შემუშავებაში. საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააქტიურონ ღონისძიებანი იმ საკითხთა შესათანხმებლად, რომლებიც ჯერ კიდევ შეუთანხმებელია ჰელსინკში მიღებული დღის წესრიგის ფარგლებში, რათა დამთავრდეს თათბირის მეორე ეტაპი.

ისინი აღნიშნავენ, რომ შეიქმნა კარგი წანამძღვრები უმოკლეს ვადაში თათბირის დამთავრებისათვის, მისი მესამე ეტაპის მოწყობისა და უმაღლეს დონეზე საბოლოო დოკუმენტების ხელმოწერისათვის.

საუბრებში აგრეთვე განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა. მხარეებმა აღნიშნეს პროგრესი, რომელიც მიღწეულია იმ საკითხში, რომელიც ეხება პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებათა გათვალისწინებას. ისინი თანახმა არიან, რომ ეს უფლებები უნდა განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულების საფუძველზე, ამასთან პატივი სცენ ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის უფლებას. საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი შეშფოთებული არიან ახლო აღმოსავლეთის ახლანდელი ვითარების გამო, რომელიც, მათი აზრით, უაღრესად საშიშია. მათ კვლავინდებურად მიაჩნიათ, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგება წარმოუდგენელია, თუ ისრაელი არ გაიყვანს ჯარებს 1967 წელს ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან და არ ცნობს რაიონის თვითეული სახელმწიფოს უფლებას იცხოვრონ უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში. ისინი ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ იმედს, რომ ჟენევის საზავო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე რაც შეიძლება მალე განაახლებს მუშაობას.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ შეშფოთებული არიან კვიპროსში საშიშ სიტუაციასთან დაკავშირებით. ისინი ხელმძღვანელობენ იმით, რომ კვიპროსის საკითხის მოწესრიგება მიღწეული უნდა იყოს მოლაპარაკების გზით და საფუძვლად უნდა ედოს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის კვიპროსის შესახებ გადაწყვეტილებათა ზუსტად შესრულება. საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გაიყვანონ უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალები კვიპროსის რესპუბლიკიდან და საკუთარ სახლებს დაუბრუნდეს ყველა ლტოლვილი უსაფრთხოების პირობებში.

განიხილეს ინდოჩინეთის მდგომარეობა. საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ ყველა მხარემ, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, ზუსტად უნდა დაიცვას იგი, და გამოთქვამენ კმაყოფილებას ვიენტიანის შეთანხმებისა და მისი განხორციელების შესახებ ოქმის შესაბამისად ლაოსში მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის აღდგენის გამო. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ კამბოჯის პრობლემა უნდა მოაწესრიგოს თვით კამბოჯელმა ხალხმა უცხოეთის ჩაურევლად.

მხარეები აცხადებენ, რომ განიარაღების დარგში მათი მეცადინეობის მიზანია ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლსდაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ატომური განიარაღება. ამ სულისკვეთებით სსრ კავშირი და საფრანგეთი კვლავინდებურად მხარს უჭერენ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას, ამასთან მხედველობაში აქვთ, რომ ამ კონფერენციას შეუძლია შეიტანოს დიდი წვლილი შეიარაღების ტვირთისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში.

სსრ კავშირი და საფრანგეთი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების ერთგულნი, რომლის დამფუძნებელი წევრებიც ისინი არიან, ადასტურებენ, რომ დიდმნიშვნელოვანია როლი, რომელიც ამ ორგანიზაციას ეკისრება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებაში. ისინი ადასტურებენ აგრეთვე, რომ მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელსაც საფუძვლად უდევს საყოველთაოდ აღიარებული და სამართლიანი საწყისები და კვლავაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

* * *

მხარეებმა კვლავ განაცხადეს, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას. მათ, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აპირებენ განაგრძონ რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციები მსოფლიო პრობლემებზე და აღნიშნეს, რომ ეს კონსულტაციები უნდა მოეწყოს ყველა დონეზე, განსაკუთრებით უმაღლეს დონეზე, რაც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის მუდმივი ელემენტია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ამასთან კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი სამუშაო შეხვედრა ემთხვევა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავს.

საგანგებო ყურადღება დაეთმო ეკონომიური კავშირურთიერთობის განხილვას, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობის ერთ-ერთი არსებითი საფუძველია. მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ გაიზარდა საქონელბრუნვა 1970 წლიდან 1974 წლამდე, რის შედეგადაც გადააჭარბეს 1969 წელს დასახულ ორ ქვეყანას შორის ხუთი წლის მანძილზე ვაჭრობის მოცულობის გაორკეცების მიზანს.

ეკონომიური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარება გრძელდება 1973 წლის 10 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილი ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის გაღრმავების ათი წლის პროგრამის შესაბამისად, რომლის მნიშვნელობა კვლავ ხაზგასმით აღინიშნა. ამ პროგრამის განსახორციელებლად ორ ქვეყანას შორის დაიდო კონტრაქტები, სამრეწველო თანამშრომლობის დიდმასშტაბიანი პროექტების შესახებ.

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა 1974 წლის 6 დეკემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1975-1979 წლებში ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ. მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ შეთანხმებას.

იმავე დღეს ხელი მოაწერეს საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს მომავალ ხუთწლეულში სარეალიზაციო ეკონომიური თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებას.

მხარეებმა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური ურთიერთობის დარგში დასახულია კარგი პერსპექტივები და გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას კიდევ უფრო გააფართოონ და განავითარონ ეს ურთიერთობა, დასახეს ახლო მომავალი წლებისათვის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საქონელბრუნვის ზრდის ახალი მიზნები. მხარეებმა გადაწყვიტეს მომავალ ხუთწლიუღში ერთიორად გაზარდონ საქონელბრუნვა წინა ხუთწლიან პერიოდთან შედარებით და ყველაფერი იღონონ, რათა ერთისამად გაზარდონ იგი, აგრეთვე უზრუნველყონ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გაცვლის შეწონასწორებული განვითარება.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის სამრეწველო თანამშრომლობის ძირითადი პროექტების, აგრეთვე ენერგეტიკული საქონლის მიწოდების შესაძლებლობების გაღრმავებული განხილვის შემდეგ მხარეები ამავე სულისკვეთებით შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ თანამშრომლობის ახალი პროექტების რეალიზაციას, ამ მიზნით ხელმოწერილია ათი წლის პერიოდისათვის ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის გაღრმავების პროგრამის ოქმი, რომელშიც შეტანილია ორ მხარეს შორის შეთანხმებული მთელი რიგი დამატებითი პროექტები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ დაიდო შეთანხმებანი საბჭოთა კავშირის მიერ საფრანგეთისათვის დამატებითი რაოდენობის ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ, რაც უზრუნველყოფს 1980 წლიდან მთლიანად წელიწადში 4 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტს, აგრეთვე სსრ კავშირში შესაბამისი ფრანგული მოწყობილობის მიწოდების შესახებ. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის მიღწეულია თანხმობა, რომ დაიდოს ორი დიდი კონტრაქტი სსრ კავშირში საფრანგეთიდან გაზსადენი მილების მიწოდებისა და სსრ კავშირში მაგნიტური გამშვებების ქარხნის მშენებლობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის ისეთი ახალი პროექტების რეალიზაციას, როგორიცაა საფრანგეთის ფირმების მონაწილეობა სსრ კავშირში კომპენსაციურ საფუძველზე თიხამიწისა და ალუმინის საწარმოო კომპლექსის მშენებლობაში, რის შესახებაც დაინტერესებულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შესაბამის ოქმს. ამ პროექტებს მიეკუთვნება აგრეთვე სსრ კავშირში სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებაში, ატომური ენერგეტიკის დარგში, მათ შორის ატომური რეაქტორების წარმოებაში შეთანხმებული პირობებით თანამშრომლობის შესაძლებლობა, სსრ კავშირში ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების მშენებლობა, [illegible] ტექნიკის მიწოდება. ასევე ხაზგასმით [illegible] სამრეწველო ობიექტებისათვის საჭირო საბჭოთა მოწყობილობის მიწოდების გაფართოებას.

საუბრების დროს გაიმართა გაღრმავებული აზრთა გაზიარება ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსული ენის სწავლების განვითარებას საფრანგეთში და ფრანგული ენის სწავლებას — სსრ კავშირში, აგრეთვე ამჟამად მოქმედ მეცნიერული გაცვლის პროგრამებს.

ხელმძღვანელობენ რა სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპებით, მხარეებმა განაცხადეს, რომ ესწრაფვიან კულტურული ურთიერთგაცვლის შემდგომ გაფართოებას. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კულტურული თანამშრომლობის მუდმივი შერეული კომისია, რომლის სესია მიმდინარე წლის 11-12 დეკემბერს გაიმართება პარიზში, შეიმუშავებს ორივე მხარისათვის საინტერესო ფართო კულტურული გაცვლის მომავალი ორი წლის პროგრამას.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1966 წლის 30 ივნისის შეთანხმებებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1973 წლის 27 ივლისის თანამშრომლობის გაღრმავების ათი წლის პერიოდის პროგრამის შესაბამისად გაცვლა ან თანამშრომლობა ხორციელდება მეცნიერების ბევრ უმნიშვნელოვანეს სფეროში როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევის სფეროებში, რომლებიც მიზნად ისახავენ, კერძოდ, სამრეწველო თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ენერგეტიკულ პრობლემებს, მათ შორის ატომურ ენერგეტიკას, მაღალი ენერგიების ფიზიკას, გამოსათვლელი მანქანების გამოყენებას, კოსმოსს, ოკეანოლოგიას, გარემოს, მედიცინას.

მათ მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ განაგრძონ ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ვიზიტების გაცვლა. მხარეებმა აღნიშნეს, რომ უკვე გამართულმა ურთიერთვიზიტებმა განამტკიცეს პატივისცემის ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გრძნობები. აგრეთვე აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვეს აზრთა გაზიარებისა და მეგობრული ვითარების გამო, რომელშიც საუბრები მიმდინარეობდა. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ საჭიროა განაგრძონ სამუშაო შეხვედრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა სთხოვა საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენს ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საბჭოთა კავშირს. საფრანგეთის პრეზიდენტი კმაყოფილებით დათანხმდა ამ მიწვევას.

საბოლოო შეხვედრა

ათენი. 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის კ. კარამანლისის საბოლოო შეხვედრა კვიპროსის პრეზიდენტ არქიეპისკოპოს მაკარიოსთან.

საბერძნეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად აქ ჩამოსულმა მაკარიოსმა ვიზიტის ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ მოაწყო შეხვედრების სერია საბერძნეთის მთავარ პარტიათა წარმომადგენლებთან და ქვეყნის ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

7 დეკემბერს არქიეპისკოპოსი მაკარიოსი კვიპროსში გაფრინდება.

პრეზიდენტი მაკარიოსი დაბრუნდა კვიპროსში

ნიქოზია, 7 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბობოშაზი გვატყობინებს: დღეს სპეციალური თვითმფრინავით ათენიდან ნიქოზიაში ჩამოვიდა კვიპროსის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი.

მაკარიოსი სამშობლოში დაბრუნდა თითქმის ხუთი თვის იძულებითი ემიგრაციის შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 15 ივლისის სამხედრო პუტჩის შედეგი იყო.

კვიპროსის ხალხმა საზეიმო და გულთბილი შეხვედრა მოუწყო პრეზიდენტს.

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაბრუნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს კონსტიტუციური წყობილების აღდგენას, რაც დაირღვა 15 ივლისის პუტჩის შედეგად, რომელიც მოამზადა და განახორციელა საბერძნეთის სამხედრო ხუნტამ ნატოს ზოგიერთი წრეების მხარდაჭერით. დღეს აშკარა რეაქციული წრეები და მათი გაზეთებიც კი ვერ ბედავენ საჯაროდ გაილაშქრონ კვიპროსელი ხალხის დიდი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ. ამასთანავე კვიპროსში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევს მაკარიოსის დაბრუნება. ესენი უწინარეს ყოვლისა არიან პირნი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 15 ივლისის პუტჩში და, როგორც ჩანს, ხელი არ აუღიათ თავიანთ მიზნებზე.

პრეზიდენტმა მაკარიოსმა სიტყვა წარმოთქვა ნიქოზიაში გამართულ მასობრივ მიტინგზე. მოხარული და კმაყოფილი ვიქნები, თქვა მან, თუ კვიპროსში ჩემი დაბრუნება გახდება ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობას — ბერძენ და თურქ კვიპროსელთა მშვიდობას, კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას.

გვინდა მოლაპარაკება გავმართოთ კვიპროსელ თურქებთან, აღნიშნა მაკარიოსმა, რათა აღმოვფხვრათ ჩვენი უთანხმოებანი, რათა გამოვნახოთ კვიპროსის პრობლემის გადაჭრის გზები. ამასთან, აღნიშნა მან, არ გამოვიტანთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომ ითვალისწინებდეს კვიპროსის მოსახლეობის გადაადგილებას და მის გაყოფას ნიშნავდეს. არსებობს შესაძლებლობა, გამოვნახოთ კვიპროსელი ბერძნებისა და თურქების უფლებათა უზრუნველყოფის და მათი მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის გზა. მოძველებული შოვინისტური ტენდენციები და ყველა ჯურის ცრურწმენები სარგებლობას ვერ მოუტანენ ვერც კვიპროსელ ბერძნებს და ვერც კვიპროსელ თურქებს.

მაკარიოსმა თქვა, რომ არ აპირებს გამოედევნოს მტრებსა და მოწინააღმდეგეებს, ან სამართალში მისცეს ისინი, ვინც ჩარეულია პოლიტიკურ დანაშაულში. მან მოუწოდა, რომ ხელისუფლებს ჩააბარონ მთელი იარაღი, რომელიც უკანონოდ ინახება კუნძულზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

მადლობა საბჭოთა კავშირს

ბრაზავილი, 7 დეკემბერი. (საკდესი). კონგოს ხალხი დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების დარგში უდიდესი დახმარებისა და ხელშეწყობისათვის, განაცხადა კონგოს სახალხო რესპუბლიკის პროფესიული ტექნიკური და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის მინისტრმა ჟ. ჩისტერ ჩიკაიამ. იგი გამოვიდა ბრაზავილის უნივერსიტეტისათვის სსრ კავშირის საჩუქრის — სალაბორატორიო და ტექნიკური მოწყობილობის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე.

ამზადებენ კონსტიტუციას

ჰავანა, 7 დეკემბერი. (საკდესი). კუბის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება, რომლის პროექტსაც ამჟამად ამუშავებენ, გადამწყვეტი ეტაპი იქნება ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისა და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის პროცესში, განაცხადა ჟურნალ „ბოჰემიასათვის" მიცემულ ინტერვიუში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა ბლას როკამ.

გმირობის უკვდავსაყოფად

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა არმიის ძეგლი სოფიის ცენტრში. მისმა შემქმნელებმა — ბულგარელმა მოქანდაკეებმა და არქიტექტორებმა გრანიტითა და ბრინჯაოთი უკვდავყვეს საბჭოთა ხალხის სახელოვანი გმირობა.

ვ. მასტიუკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

დამწვარი წეროები

ტოკიო. 6 დეკემბერი. (საკდესის კორ.). უცნობმა ხულიგნებმა დღეს შეურაცხყვეს ხიროსიმის მსხვერპლთა ხსოვნა. ქალაქის „მშვიდობის პარკში", რომელიც გაშენებულია ატომური აფეთქების ეპიცენტრის ადგილას, მათ დაწვეს ატომური დაბომბვის შედეგად 1955 წელს გარდაცვლილი მოსწავლე სადაკო სასაკის ძეგლზე ჩამოკიდებული ქაღალდის წეროების გირლანდები. პირველი შემთხვევა როდია, რომ შეურაცხყოფენ იმათ ხსოვნას, ვინც ხიროსიმაში დაიღუპა 1945 წლის 6 აგვისტოს და შემდგომში 30 წლის მანძილზე. ვიღაც სალებავით თხუპნის მშვიდობისათვის მოწოდებებს, რომლებიც ძეგლებზეა ამოკვეთილი, ცდილობს დააზიანოს შენობა, რომელსაც ისე ინახავენ, როგორიც ატომური აფეთქების შემდეგ დარჩა, მაგრამ არცერთი ხულიგანი პოლიციას დღემდე არ დაუკავებია.

სადაკო სასაკი 12 წლისა იყო, როცა გარდაიცვალა. 10 წელი მან საავადმყოფოში გაატარა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მას უთხრეს, თუ ათას ქაღალდის წეროს გააკეთებ, მორჩები. სადაკო 643-ე ქაღალდის ფრინველს აკეთებდა, როცა სიკვდილმა მოუსწრო.

ამ გოგონაზე ბევრი რამ დაიწერა გაზეთებში და ქვეყნის მოსწავლეებმა თავიანთი შეგროვილი ფულით 1958 წლის ოქტომბერში დაუდგეს ძეგლი — ატომური ბომბის სტაბილიზატორზე დგას გოგონა, რომელსაც ხელში ქაღალდის წერო უჭირავს. მოსწავლეთა მრავალრიცხოვან დელეგაციებს, რომლებიც ხიროსიმაში ჩამოდიან, თან ჩამოაქვთ ქაღალდის ფრინველების გირლანდები და სტოვებენ ძეგლთან. მათ ფოსტითაც გზავნიან. გუშინ სადკოს ძეგლთან სამ მილიონამდე ქაღალდის წერო იყო. მათი ნახევარი წუხელ დაწვეს.

ი. ვდოვინი.

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ კანზას-სიტიში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის რიგგარეშე ყრილობა. ყრილობა განიხილავს და დაამტკიცებს პარტიის ისტორიაში პირველ წესდებას, აგრეთვე მიიღებს პროგრამას ეკონომიურ საკითხებზე.

გადაწყვეტილება არა პრეზიდენტის მორიგი არჩევნების წინ, არამედ არჩევნებს შორის შუალედში ამერიკის შეერთებული შტატების ორი პარტიიდან ერთ-ერთი მთავარი, ბურჟუაზიული პარტიის ყრილობის მოწვევის შესახებ უპრეცედენტოა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ამომრჩეველთა უკმაყოფილებამ, რომლებიც, ჩვეულებრივ, ხმას აძლევენ დემოკრატებს, და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უკმაყოფილებამ შინაპარტიულ ცხოვრებაში დემოკრატიის უქონლობის, უმძლავრესი პარტიული ბოსების დიქტატის გამო.

ყრილობის მოწვევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში აისახა აგრეთვე ამომრჩეველთა მასების სერიოზული შეშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების — მზარდი დაქვეითების, უმუშევრობის ზრდის, განუწყვეტელი ინფლაციის, ენერგეტიკული კრიზისის შემდგომი გამწვავების საფრთხის გამო. დემოკრატიული პარტიის ბევრ რიგეულ ორგანიზაციაში იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ პარტიის ლიდერებს დღემდე ვერ წამოუყენებიათ ეკონომიურ სიძნელეებთან ბრძოლის ღონისძიებათა ეფექტიანი და შეთანხმებული პროგრამა.

ყრილობის ორი ათასზე მეტი დელეგატი განიხილავს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს მოწოდებას აღადგინონ კონტროლი ფასებისადმი, რათა შეაკავონ ინფლაცია, გააფართოონ საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამა უმუშევრობის ზრდის შესაზღუდავად, განახორციელონ სათბობის შეზღუდვისა და მოხმარების და „უკიდურეს შემთხვევაში", ნორმირების ღონისძიებები. ბევრ დელეგატს ეს წინადადებები მიაჩნია თავისებურ განაწესად სენატორებისა და კონგრესმენებისადმი დემოკრატიული პარტიისაგან.

დემოკრატიული პარტიის ლიდერებს ყრილობა საშუალებას აძლევს სცადონ მთელ რიგ საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებზე საერთო ხაზის გამომუშავება, პარტიის შიგნით სხვადასხვა ერთმანეთის მეტოქე დაჯგუფების პოზიციების დაახლოება, გამონახონ საფუძველი კონგრესში დემოკრატთა ფრაქციის შეთანხმებული აქციებისათვის, გამართონ არაოფიციალური კონსულტაციები, რათა გამოარკვიონ პარტიის იმ თვალსაჩინო მოღვაწეთა პოპულარობის დონე, რომლებიც, მიაჩნიათ 1976 წელს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში დემოკრატებისაგან კანდიდატობის შესაძლო პრეტენდენტებად.

დოკუმენტებს არ მოსპობენ

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც კრძალავს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რ. ნიქსონის მაგნიტოფონის ჩანაწერებისა და დოკუმენტების მოსპობას. ანალოგიური კანონპროექტი მოიწონა სენატმა.

წინათ ფედერალურ ხელისუფლებსა და რ. ნიქსონს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ეს ჩანაწერები და დოკუმენტები შეიძლებოდა მოესპოთ, თუ გარდაიცვლებოდა ყოფილი პრეზიდენტი, და ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს 1984 წლის 1 სექტემბრისა. მიღებული კანონპროექტის თანახმად, მასალების მოსასპობად საჭირო იქნება კონგრესის საგანგებო ნებართვა.

მსოფლიო დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი და დიდება შრომის ვეტერანებს!

ჟამი მოუცლელობისა

ნაღდი მუშა კაცია ვასილ პაპინაშვილი და ამიტომაც არის ასეთი უშუალო, ალალმართალი, კეთილი... სათქმელს არ მალავს, არ ყოყმანობს, ყველაფერზე მოკლე, ნათელ პასუხს იძლევა და სრულებით არ ფიქრობს იმაზე, ვინ როგორ გაუგებს და ვინ რას იტყვის.

მისთვის მთავარია სიმართლე... რა-ჰკითხე, ეს იმას ნიშნავს სიმართლეს სთხოვ, და, აი ესეც სიმართლე... ასე იყო თუ დიდხანს მიჩვეულები ვიყავით, ბრტყელ-ბრტყელ, თავის მოსატყუებელ და სხვა-მოსატყუებელ ლაპარაკს და მაშინ გვავიწყდე-ა უმთავრესი რამ: არც ჩვენ ვტყუვდებოდით არც სხვა — გული სიმართლეს მალავდა და იმაც გვტკიოდა, გულის ტკივილი ხომ, საერ-ო ყველა ტკივილზე უარესია.

სიტყვები შეიძლება ვინმეს გაცვეთილად მო-ნოს, მაგრამ როცა სიმართლეა, რას იზამ!... ეჯი ადამიანი რაიმეს იტყვის და ვერაფერი ხით ვერ მოიძებნება საწინააღმდეგო, ამაზე ობენ ორჯერ-ორიაო, ორჯერ-ორი რომ ოთხია, ე არ კამათობენ და სხვა თუ არაფერი გვექნე-სალაპარაკო. წარმოუდგენელ მოწყენილობამ-მივალთ. ათასნაირი თეორიისა და მოსაზრების ხედავად, ყოველგვარი იდეოლოგიის მიუხე-ად, ბავშვის აღზრდაში მე მაინც მთავარი და ამწყვეტი ოჯახი მგონია. როცა ახალგაზრდა და-ულს სხედან, ჯერ ოჯახს ადანაშაულებენ, მერე დგებიან სკოლას და ვაი ხისა და ქვას. კარგი ოგაზრდაა და მშობლებს მადლობას უხდენ-—ეს არის და ეს! თუმცა ჩვენ იმიტომ კი არ და ჩვენი შვილების ღირსეულ მოქალაქეებად რდა, რომ ვინმემ მადლობა გვითხრას!... სამ-ლოს რომ გამოადგებიან, ღირსეული მამული-ლები რომ დადგებიან, ეს იქნება ყველაზე დი-ჯილდო და გარდაცვლილი მშობლების ყველა-კარგი ძეგლი!..

ასილის მამა — ალექსანდრე სტალინის სახე-ბის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მობდა ჩამომსხმელად. ჩამომსხმელობა უძნე-სი საქმეა, მაგრამ ალექსანდრეს არასოდეს არ ეწუწუნია, ერთხელ არ წამოსცდენია სამდუ-ო. ირჯებოდა კეთილი კაცის გულმოდგინებით, ეტენზიოდ, უხმაუროდ, ცხოვრება მაინცდა-ც არ ულხინდა, მოზრდილი ოჯახი ჰქონდა — სამუშაოს შემდეგ იყო თუ კვირა დღეს, საქმეს მოიკლებდა.

941 წელს ალექსანდრემ შვილი თავისთან ქა-ნაში წაიყვანა სამუშაოდ. ვასილს მაშინ ის ის ა ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა.

რთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ელ-ალ-ვაგონშემკეთებელი საამქროც იყო, რომლის აზეც შემდეგ ჩამოყალიბდა ელმავალმშენებ-ქარხანა.

ასილმა იმ საამქროში ზეინკლად დაიწყო მუ-ობა და ამ ხელობისთვის შემდეგში აღარ უღა-ტნია.

მამას თვალწინ ჰყავდა შვილი-პატარა, ჯერ-ობით გაუჭირდებაო, ნუგეშს არ აკლებდა, წა-ებას და წახალისებას.

ერე ომიც დაიწყო.

ხოლოდ ერთი წელი იმუშავა და ჯარშიც გაი-ეს, ჯარში იყო, მაგრამ ფრონტზე არ ყოფილა. 945 წელს ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ჯა-დან — ზეინკლებია საჭირო, ომით დანგრეული ეყანა აშენებას მოითხოვსო, და ვასილ პაპინაშ-ლი ქარხანას დაუბრუნდა.

ის შემდეგ ამ ქარხანაში მუშაობს, მას შემდეგ ოლოდ ერთადერთი პროფესია აქვს — ავტო-ხრუჭების ზეინკალია.

ას შემდეგ ოჯახსაც მოეკიდა და სამი შვილი ეძინა: ერთი ბიჭი და ორი გოგო.

მას შემდეგ პაპაც გახდა.

— გავიგე, ორშაბათ დილითაც მიკითხეთ, ვერ ვიდი დილით, ალექსანდრე ვასილის-ძე პაპინა-ილი დავაწვინეთ საავადმყოფოში.

— ვინაო?!

— ჩემი პატარა შვილიშვილი, ჯერჯერობით რვა ისაა... ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც მეშინია... ცოცხლე გრძელდება: კარგ შვილიშვილებს გი პაპების სახელებს არქმევენ...

ცნობილ ადამიანს ხშირად ვაძლევთ ხოლმე რხულ შეკითხვას — როგორ მიაღწიეთ აქამ-? დაფიქრდება კაცი, კარგა ხანს ყოყმანობს მერე ღიმილით გვპასუხობს — გარჯით. როცა მდენჯერმე მოვისმენთ ამ ერთსა და იმავე პა-ხს, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, რომ ამგვარი შე-თხვა უადგილოა. ჩვენ კი ამ ნათელი და ყოვ-ლისმომცველი პასუხის ნაცვლად სულ სხვას ვწერთ, ვთქვათ, რაღაც „საჭირო სიტყვებს“ და ამით ენს მკითხველებს ვაიძულებთ, ჩვენს გვარს რომ ჰკრავენ თვალს, ჩვენი ნარკვევი და წერილი არ წაიკითხონ. შიშველი ენთუზიაზმის დრო წა-და. დროა გულახდილობას დავუბრუნდეთ, თო-მ აქედან, ამ ცარიელი სიტყვებიდან სასიკეთო აფერი გამოვა.

ირჯებოდა ვასილ პაპინაშვილი, თანდათან ეუფ-ებოდა თავის პროფესიას, ოსტატდებოდა და სა-საც ბარაქას ჰკიდებდა. არასოდეს არ უფიქრია ციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვ-ვსა და ლენინის ორდენზე. შრომობდა ისე, რო-რც ათასები შრომობენ. მერე მისმა მუყაითობამ აზე წინ დააყენა და 1966 წელს გმირის წო-ებაც მიანიჭეს. ბუნებრივია, მარტო გარჯა ბევრს აფერს ნიშნავს, მთავარია მოწინავე იყოს რო-რც მამულიშვილი, მოქალაქე, ოჯახის თავი და ილების მამა. დამემოწმებით, ხშირად გადავცდება ა და ამ ვინმეზე — მუშაა რა უჭირს, ამას ვერ უვე, მაგრამ რა გინდა რა, უხასიათოა, ამიზა-ოდ გაუგებელია — კაცად კაცი ბევრი არაფე-აა.

ვასილ პაპინაშვილი მარტო დაკოჟრილმა ხელებმა არ აქცია საქვეყნოდ ცნობილ მუშად. იგი კეთილი გულის კაცია, უშუალო, კაცთმოყვარე, ჭირსა და ლხინში ყველას ძმა და მეგობარი, ნათესავებისათვისაც მალამო და მეზობლებისთვისაც. მე მოწმე გავხდი იმისა, როგორ უსაყვედურა ერთ-ერთ ინჟინერს:

— ეჰ, ჩემო ძმაო, როგორც თქვენ გგონიათ, ეს ომ მართლაც ასე იყოს, მაშინ რაღა გვიჭირდა. მხოლოდ ამ სიტყვებს მოვკარი ყური, არ გამი-ონია, აქამდე რაზე ჰქონდათ საუბარი, ის კი შე-ტყვე, ვასილი წუხდა...

მარტო საკუთარი საქმიანობა არ აფიქრებს, არ ინტერესებს, ვასილისათვის ჩემი და სხვისი არ რსებობს. ამდენი ავარიები რომ ხდება სიმთვრა-ლითა თუ გამოუცდელობით, რატომ არ არის ყვე-ლას საქმე? თუ კი სამშობლო გვიყვარს, ამდენიც ნდა ვიცოდეთ, რომ სამშობლო მარტო ჩვენ არ ართ, მარტო ჩვენი გარჯით ამდენი საქმე ვერ გაკეთდება, ქვეყანა ვერ გაივსება ხვავითა და ბარაქით. მაგრამ თვითეულის წვლილი როცა ერთად მოიყრის თავს, სიკეთეც მაშინ ჩანს...

ვასილ პაპინაშვილის ყოველთვიური ხელფასი სამასიდან სამასორმოცდაათ მანეთამდე მერყეობს. ეს უკვე დიდი ხელფასია! ყველაფერი დამოკიდებულია დროზე, დროსა და მუყაითობაზე.

— ხელები, აი ეს ხელებია ჩემი ოჯახის მარჩენალი, — მეუბნება და ერთი წუთითაც არ შემპარავა ეჭვი მის გულწრფელობაში, — ცოდნის გარეშეც თავისთავად ვერაფერს გააკეთებ, ვერავის გამოადგები.

სწორედ მისმა დაკოჟრილმა ხელებმა გაუთქვეს ასე სახელი. ამ ხელების მადლით, სიკეთითა და წყალობით მოიარა საფრანგეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი... ამ ხელებმა საქართველოს იმ დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანა, კანადაში, მსოფლიო გამოფენაზე რომ იყო...

ამ დაკოჟრილმა ხელებმა მოლდავეთის იუბილეზე წაიყვანა, როგორც საქართველოს სამკაციანი დელეგაციის წევრი...

დრო მკაცრად აქვს განაწილებულ-გამოზომილი და ყველაფერს ასწრებს: ამომრჩევლების მიღებასაც (საქალაქო საბჭოს დეპუტატია), დასვენებასაც, შვილებთან და შვილიშვილებთან ყოფნა — გართობასაც და ბაღ-ბოსტანში მუშაობასაც.

ვასილს საგურამოში აქვს მიწის პატარა ნაკვეთი.

„ქარხანა მაინც ქარხანაა — რკინა და ხმაური! მიწა სულ სხვა ჰაერივით აუცილებელია... ასფალტიდან ბალახიან მიწაზე თუ წამიერად რომ გადაინაცვლებს ხოლმე ფეხი, ამას მთელი სხეული გრძნობს, რაღაც ერთბაშად ეცვლები. ჯანიც მემატება და ხალისიც. მე მგონია, ეს სიკეთე ჩემი წინაპრებიდან გადმომყვა — ჩემი წინაპრები მიწის მუშები იყვნენ. ნაკვეთები რომ დაგვირიგეს და მუშებს მიწისკენ გაგვახედეს, ეს ამბავი ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო...

საგურამოში მიწის პატარა ნაკვეთზე რა აღარ დაარგო: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, და რა თქმა უნდა, ვაზი. უვაზობა როგორ იქნება! საქართველო ვაზის სინონიმად იქცა, დღეს კი არა, ისტორიიდან მოგვდევს ასე.

— ჩვენი მუშა და ჩვენი გლეხი, — ამბობს ვასილი, — ურთმანეთოდ როგორ იქნება? მიხარია მათი გარჯა ისევე, როგორც მათ უხარიათ ჩვენი მუშებისა. საბჭოთა კავშირის რომელ რკინიგზაზე არ ნახავ ჩვენს ელმავლებს.. საკმაოდ ბევრი მიმგზავრია მატარებლით და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამხარებია, როცა დამინახავს, თურმე იმ მატარებლით მივდივარ, რომელსაც ჩვენი ქარხნის გამოშვებული ელმავალი მიაქროლებს.

რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორია ვასილი. გარჯის ამ გრძელი მომქანცველი ფიქრისა და ძიების გზაზე, ბევრი რამ შეხვედრია და უნახავს. როცა მუშა დაოსტატების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს, მისთვის უკვე შემოფარგლულია ცოდნის ერთი წრე და აქედან უკვე ამოწურული არის. მაშინ თვალნათლივ ხედავს, ატყობს თავისი საქმიანობის ნაკლსაც და ღირსებასაც. რაციონალიზატორული წინადადებებიც მაშინ ჩნდებიან, იბადებიან, რაკი ესა თუ ის დეტალი, მის თვალში გაუმჯობესებას მოითხოვს, მისასვლელი გზა მოკლდება, უმჯობესდება...

ვასილ პაპინაშვილი ავტომუხრუჭების ზეინკალია და, ძალაუნებურად ფიქრში ამოტივტივდება ავადსახსენებელი სიტყვა — ავარია! მუხრუჭზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ხშირად გადამწყვეტია მუხრუჭი. ვინ იცის ვასილის მადლიან ნახელავს რამდენი უბედური შემთხვევა აუცილებია თავიდან.

ტრადიციული მუშათა ოჯახია ვასილ პაპინაშვილის ოჯახი: ცოლიც მუშაა, შვილიც — დოდო მუშაა. ბიჭმა — გივიმ, ასე ვთქვათ, „უღალატა“ — აგრონომია, უმცროსი გოგონა — ხათუნა ჯერ ვხოლოდ თორმეტი წლისაა.

სათქმელი და საფიქრალი ბევრზე ბევრია...

როცა გულახდილად ლაპარაკობს კაცი, არასოდეს არ ავიწყდება ნაკლი, რომლის გამოუსწორებლობაც ჩრდილად აწვება ყოველთვის. ნაკლის დამალვა თავისთავად დანაშაულს ნიშნავს, — ამბობს ვასილი და მერე ერთხანს ფიქრობს, — გაუთავებელი ტაში და ქება-დიდების კორიანტელი ხშირად უფრო ვნებს საქმეს, ვიდრე სიკეთისაკენ, უფრო მეტის გაკეთებისაკენ უბიძგებს. გაუთავებელი ქება ძაგებაზე უარესია, მოპოვებული წარმატების საზღაურს, ტაშსა და ქება-დიდებას, აუცილებლად ვრცელი ზომა-წონა სჭირდება. სხვაც არა იყოს რა, ერთფეროვნება მოსაწყენია. რათ უნდა ამას ლაპარაკი და დიდის თქმა, ამ ბოლო ორ წელიწადში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ისიც, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ძალიან ბევრი. ამაზე იტყვიან ხოლმე — ჯერ სადა ხარო! მართლაც რომ — ჯერ სადა ვართ! ნაკლსა და ჩამორჩენას მხოლოდ გარჯა გამოასწორებს, თავდაუზოგავი გარჯა... აი, ჩვენთან ქარხანაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. რას მირჩევთ, დავმალო? მერე ვის დავუმალო, საკუთარ თავს, ქვეყანას? ანდა, რა არის აქ დასამალავი? — ქარხანა რიტმულად ვერ მუშაობს, წესიერი მომარაგება არა გვაქვს, დროულად არ გვაძლევენ სათადარიგო ნაწილებს, მასალას, მიუხედავად ამისა, გეგმებს მაინც ვასრულებთ. მოვა თვის ბოლო და ზედმეტ საათებს ვმუშაობთ, პირდაპირ წელებზე ფეხს ვიდგამთ. ამას „შტურმობანას“ ვეძახით: აი, ეს უკვე უარყოფითად მოქმედებს შრომის დისციპლინაზე!.. ზოგს გაუთავებლად რომ ელაპარაკო მთელი თვე, მაინც ვერაფერს გააგონებ...

სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება!

„გაზ-69“ მანქანა აქვს ვასილს. მშრომელი კაცია და მანქანაც კარგად აქვს მოვლილი.

— წავიდა მოცლილობის დრო! — ეღიმება ვასილს, — ვეღარ ვიცლი სასეირნოდ — პირდაპირ თავზე საყრო მაქვს საქმე. ისე, ხანდახან თუ გავუსწორებ ვინმეს ხასიათს, თორემ თბილისი და საგურამო, საგურამო და თბილისი — ეს არის ჩემი გზა... ჰო, ამ შემოდგომაზე ჩვენმა მუშებმა და ინჟინრებმა მითხრეს, სეზონი გახსნა და მწყერზე სანადიროდ წავიდეთო. რომელი მონადირე მე ვარ, მაგრამ უარი ვეღარა ვთქვი.. წავედით. ის რა ენახე! — ღიმილი აუცილებლად არ ესვრიან?! აიყვანენ დაჭრილ მწყერს, ანდა მეძებარი მიურბენინებენ. ჩაავლებენ იმ მწყერს ხელს, დაიჭერენ, კონდახზე დაარტყამენ თავსა და ასე კლავენ. დავიწყე საყვედურობით — ჩემთვისაც ვთქვი, ნეტავი არ წამოვსულიყავი მეთქი, ბოლოს ორი, ფეხში დაჭრილი მწყერი დავიხსენი სიკვდილისაგან — ჩემს უმცროს გოგონას ჩამოვუყვანე. ხათუნამ უმკურნალა მწყერებს, მოუშუშა ჭრილობები, მოაღონიერა და გალიაში ჩასვა. გალია ფანჯრის გარეთა რაფაზე დავდგით, როცა აცივდა, შინ შემოვიტანეთ. ახლაც შინ გვყავს მწყერები. მშვენივრად არიან; რა ვიცი, იქნებ შეჩვევნენ? მთავარი კი ის არის, რომ ცოცხლად და ჯანსაღად არიან. კოჭლობით კი მაინც კოჭლობენ. ეს იმდენი არაფერი! ლამის ერთმანეთს მიეხუტებიან ხოლმე და ასე სძინავთ. რატომღაც მჯერა, რომ ერთმანეთთან სიახლოვემ გადაიტანინათ სატკივარიც, ზამთარიცა და ტყვეობაც. უეჭველად მიიტანენ იმ გაზაფხულამდე, როცა თბილქვეყნებიდან დაბრუნდებიან მათი თანამოძმენი — ამაზე უფრო სასიხარულო მოლოდინი ალბათ არცა აქვთ. ჩვენც, ადამიანები სასიკეთო მიზანს ადვილად მივაღწევთ, თუკი ერთმანეთს გავუგებთ, ერთად ვიქნებით, მაშინ არ გაგვიჭირდება არც სიკვდილის გადატანა. სიკვდილი ხომ მაინც ყველაზე ძნელია!

ქარლო კობერიძე.

ხუთწლედის გმირი — ლიტერატურის გმირი

— — რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი



რაფიელ ერისთავი

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი შავსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

კაცი ის არის

კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის,
თავს აუცილებს ვნებასა,
ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს,
მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შვებასა!

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი — სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი — ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შამოავლებს ფთილადა!

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამეს დაეგვანება!

არ ივიწყებენ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). — „მშვიდობით, უძველესო კოლხიდავ, მშვიდობით, ისტორიულო მხარევ, ბუნებითა და ბარაქიანი მიწებით მდიდარო ქვეყანავ! შენ ელოდები განათლებას და კულტურას, მშვიდობით, შემთვისებელო და ჭკვიანო სამეგრელოს ხალხო, რომელიც მოწყურებულია განათლებასა და ელოდება სკოლების გახსნას“. — ასე დაემშვიდობა სამეგრელოსა და მის ხალხს ზუგდიდის მაზრის უფროსი რაფიელ ერისთავი, როცა იგი 11 წლის მოღვაწეობის შემდეგ სხვაგან გაამწესეს სამუშაოდ.

რაფიელ ერისთავს არ ივიწყებენ ზუგდიდელი მშრომელები, პატივისცემითა და დიდებით ეპყრობიან მის სახელს, რომელმაც ესოდენ დიდი ამაგი დასდო სამეგრელოს, განსაკუთრებით ზუგდიდს მაზრის უფროსად მუშაობის დროს. მარტო რად ღირს ზუგდიდის ცენტრში პოეტის მიერ გაშენებული ჭადრების ხეივანი, რომელიც თავისი სილამაზით დღესაც აჯადოებს მნახველს. მადლიერმა ზუგდიდელებმა რაფიელის სახელის უკვდავსაყოფად ხეივანში დადგეს მისი ძეგლი. ზუგდიდში არის აგრეთვე რაფიელ ერისთავის სახელობის ქუჩა.

და ახლა, როცა მადლიერი ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების 150 წლისთავს, ზუგდიდის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებში და ტექნიკუმებში იმართება რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები, საიუბილეო საღამოები. კულტურის კერებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო პოეტის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ც. თოდუამ. მოხსენებით — „რაფიელ ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვიდა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ტ. მალაშხია.

პოეტის შემოქმედებაზე, მისი ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობაზე და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბ. ქირიამ, მეექვსე საშუალო სკოლის დირექტორმა მ. აბსანძემ, მწერალმა და ჟურნალისტმა შ. შენგელიამ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი საქალაქო თვითმოქმედი კოლექტივებისა და მსახიობების მონაწილეობით.

საიუბილეო საღამო

1974 წლის 9 დეკემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს...

რაფიელ ერისთავი არაგვის შვილად ერისთავთა შთამომავალია, რომლის უკანასკნელი შტო, მეთვრამეტე საუკუნეში, ჟამთა სვლის გამო ანანურიდან ქისტაურში ჩასახლებულა. ერეკლე მეორის დროს კვლავ დაწინაურებულა ამ ერისთავთა შთამომავლობა. რაფიელის მამის დავითის სახლი განთქმული ყოფილა როგორც ძველი ტრადიციული ოჯახი. 1847 წელს ქართული კულტურის შესასწავლად ჩამოსული მარი ბროსე რაფიელს თიანეთიდან მამისეულ მამულში მოუწვევია. იგი აღტაცებულა, როცა რაფიელის სახლში უნახავს მდიდარი ბიბლიოთეკა და სათუთად შენახული ძველი ხელნაწერები. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, მელიტონ ბარათაშვილი, ალექსანდრე და გრიგოლ ჭავჭავაძეები, რაფიელის დედის — ნინო ავთანდილის ასულ ამილახვარის ნათესავები, გიორგი ერისთავი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვ. ფილადელფოსი შემდეგში რაფიელის მასწავლებელი იყო შუამთის შიო მღვიმის მონასტერში...

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1844 წ.) იგი მუშაობას იწყებს თარჯიმნად თიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში. რ. ერისთავმა აქ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვა, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა „კავკაზის“ ფურცლებზე. თვითმპყრობელობის მიერ შევიწროებულ მთის ხალხის ცხოვრებაზე და ლეგენდებზეა დაწერილი მისი პირველი პროზაული ნაწარმოები „ობორვახეც“. (რომელიც ალმანახ „ზურნაში“ დაიბეჭდა 1855 წელს), ლექსი, პოემა — „ხაამბობი ძორუცისა“ და სხვა მრავალი, რომელთა შემდეგი განვითარებაა რ. ერისთავის უჭკნობი ქმნილება „სამშობლო ხევსურისა“. პოეტის პირველი ლექსები „დარიგება“ და „ყვავილს“ გიორგი ერისთავის „ცისკარში“ დაიბეჭდა.

დასავლეთ საქართველოში მუშაობის წლებმა (1851-71 წ. წ. — ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი) ცხოვრების დაკვირვების ახალი გამოცდილება შესძინეს მწერალს. ივანე კერესელიძის განახლებულ „ცისკარში“ ზედიზედ გამოჩნდა უკუღმართი სოციალური ყოფის მამხილებელი ლექსები, მოთხრობები, ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები. პრესამ მაღალი შეფასება მისცა რ. ერისთავის მხატვრულ ნიჭს. ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რაფიელ ერისთავმა ლექსში „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ (1857 წ.) პირველმა დასძრა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგო.

რაფიელ ერისთავს — შემოქმედისა და მოღვაწის სიდიადის მაღალი ზნეობა და დიდი მოქალაქეობრივი იდეალები განსაზღვრავდა. ამ თვისებით გახდა იგი ხალხის საყვარელი პოეტი. ეს მადლი საერთო და მოქალაქეობრივი მოტივი რაფიელ ერისთავის შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობისა პირველად ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველამ შენიშნა და თავისი თავი რ. ერისთავის მიმდევრად გამოაცხადა. „ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა, — აღნიშნავდა ვაჟა, — რაკი საერთო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომეცა და სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული“.

რაფიელ ერისთავმა ადრევე შეიცნო ქართველის ბედი, ხალხის ფიქრები, მისი სოციალურ-ეროვნული ტკივილები. ამიტომ მუდამ სიკეთის მქადაგებელი პოეტი ლექსში „კაცი ის არის“ ხმამაღლა ქადაგებდა ადამიანის მაღალ დანიშნულებას. პოეტის თქმით, ნამდვილი კაცი ჩვენს დროში ის არის, ვინც „იბრძვის ერისთვის და ქვეყანას მისცემს შვებას“, ვინც მამულს ეტრფის, ეთაყვანება და ნამდვილ შვილად გამოადგება.

ვისაც სამშობლო ტაძრად
აქვს
თავი — სამსხვერპლო
წილადა,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის
ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს
ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება.
ვინც დასთხევს მისთვის
წმინდა სისხლს,
მოწამეს დაეგვანება.

სამშობლოს ბედი და სოციალური უსამართლობით დაჩაგრული მშრომელი ხალხის ცხოვრება იყო რაფ. ერისთავის პოეტური შემოქმედების მთავარი თემა — მისი სავედრებელი. უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრამა გამოხატული ვედრების ფორმაში, ახალი თემა არ არის ლიტერატურაში. მაგრამ რაფიელ ერისთავმა ახალი, მისთვის დამახასიათებელი მოტივებით გაამდიდრა ვედრების გამომხატველი ლექსები. ესენია „ჩემი ლოცვა“, „მადლობა“, „ბერუას ჩივილი“, „ღმერთო გვიშველე“, „თანდილას დარდი“, „სესიას ფიქრები“, „სადღეგრძელო“ და სხვა მრავალი. ვედრების ფორმა ახალ მაღალ მწვერვალზე ავიდა გენიალურ ვაჟასთან — „ჩემი ვედრება“, ამგვარი ლექსები ანთებულ სანთლებს ჰგვანან. ისინი იმედის, სიყვარულის, სათნოებისა და უნისლო მომავლის იდეალებს აღძრავენ ადამიანებში, საზოგადოებას თავისუფლებისა და ახალი „შრომის სუფევის“ დამკვიდრებისაკენ მოუწოდებენ.

რაფ. ერისთავი გრძნობდა, რომ გლეხკაცის ძალა მის პატიოსან შრომაშია, მის სიმტკიცესა და ერთობაშია, რომ მას უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს გაჭირვებაში ჩავარდნილი თინიები, ბერუები, თანდილები. რაფ. ერისთავმა ქების ჰიმნი უძღვნა შრომას, მშრომელი გლეხობის ალალ მარჯვენას, დაბეჩავებული კლასის ადამიანური ღირსების დაცვას რაფიელმა უძღვნა ბრწყინვალე ლექსების ციკლი და ამით დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ვაზის მოვლა-პატრონობა, ყურძნის კარგი მოსავლის მოყვანა საქართველოში პატრიოტულ საქმედ ითვლებოდა. ვაზის მოვლასთან დაკავშირებული შრომის კულტურა, ღვინის დაყენება ჩვენში მუდამ დიდ ღირსებად მიაჩნდათ. არც რაფიელ ერისთავს დაუტოვებია ეს „თემა უყურადღებოდ. ლექსებში „შემოდგომა“, „ღვინო“, „მევენახის სიმღერა“ და სხვ. პოეტს ცოცხალი ფერებით აქვს გადმოცემული გლეხკაცის სიყვარული ვაზისადმი: „ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხია, ჩაკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტეხია“...

რაფიელის ყველა ლექსი სოფლის ყოფის ამა თუ იმ რეალურ სურათს გვიხატავს. იგი არ მალავს გლეხის გაჭირვებულ ცხოვრებას, შიმშილს, ავადმყოფობას, პოეტს არ ავიწყდება არც აღზევანს მარილისათვის მიმავალი გლეხები („აღზევანს წასვლა“), არც თრიალეთის იალაღებზე წასული მეცხვარე („მეცხვარე თრიალეთზედა“), არც მიწის მხვნელ-მთესველი გუთნის დედა და ღამის მეხრე („ღამის მეხრე“), არც უპატრონოდ მიტოვებული თავთავდამძიმებული მოუმკელი ყანა, რომლის პატრონი ლოგინად ჩავარდნილა. („მოუმკელი ყანა“), არც შიმშილისაგან გაწვალებული გლეხის ჯალაბობა, რომელიც სიმწრის გამო ღმერთს უარს ეუბნება შესაწირავზე („შიმშილი“), არც გლეხი ბერუა, რომელსაც ჩარჩ-ვაჭრები, გზირი და მოხელეები ჩამოკიდებია კისერზე („ბერუას ჩივილი“), მან ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა სოფლიდან ქალაქად წასული გაჭირვებული ადამიანის ცხოვრება („მათხოვარა გლახაკი“) და სხვ.

მაგრამ პოეტის გლეხებმა მალე შეიცნეს თავისი მძიმე ხვედრი, ღრმად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობას („სესიას ფიქრები“; ბერუას ჩაფიქრება“, „ბერუას ჩივილი“), ისინი აშკარა პროტესტს აცხადებდნენ, რომ „ხნავენ, თესავენ, ებრძვიან მიწას და შრომა მაინც ფუჭია“ — „მიწის ნაყოფი სხვას მიაქვს“. მებატონეები, ვაჭრები, მთავრობის მოხელეები სულს უხუთავდნენ გლეხობას. პოეტი კარგად ხედავს, რომ თვითმპყრობელობის სასტიკი რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებები შეგინებულია. შრომას დაფასება არ აქვს. პოეტი ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ მის „პატარა ქვეყანას მუწუკები გასჩენია, მალამო სჭირდება წყლულების მოსამუშებლად, რომლის წამალი ახლო მომავალში უნდა გამოიძებნოს“.

რაფიელ ერისთავი მაღალ ადამიანურ მოქალაქეობას ქადაგებდა, ებრძოდა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებას, მანკიერებას. ასეთია მისი ლექსები ქრთამის წინააღმდეგ „ყადის ჯორი“, „ერთი კაცის სურათი“, „ცრუ მოფიცარს“, „ბუზები“ და სხვ. პოეტი მკაცრად აკრიტიკებდა მთავრობის ისეთ მოხელეებს, რომლებიც მლიქვნელობისა და მაამებლობის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ. პოეტი თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, თვითონ იძლეოდა ადამიანის უმწიკვლოდ ცხოვრების მაგალითს. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ 1881 წელს შენიშნავდა, რომ „რაფიელ ერისთავს დიდი ხანია ჩვენს ლიტერატურაში დამსახურებული აქვს წმინდა სახელი“.

რაფიელ ერისთავი ვერ ურიგდებოდა ქართველის ბედის სიმწარეს. იგი ხედავდა, რომ თვითმპყრობელობას ჩვენი ეროვნული კულტურისა და მშობლიური ენის წახდენის მეტი არა მოჰქონდა რა. ამიტომ მისი კალამი სოციალურ უსამართლობასთან ერთად მძლავრად ეხმაურება პატრიოტულ თემატიკას. მწარედ გოდებდა სამშობლოს უსაზღვროდ მოტრფიალე პოეტი.

გულში დუღს ნაღველი მწარე,
სისხლი მაქვს მოწამლულია,
არ იქნა, ვერ გავიხარე, —

კვნესის უკვდავი სულია!..

რაფიელმა კარგად იცოდა, რომ სამშობლოს უფლების დაცვა და დედა ენის სიწმინდის შენარჩუნება იყო მისი დროის უპირველესი მოთხოვნა. ამ მხრივ მის სხვა ლექსებს შორის საყურადღებოა მეტად შინაარსიანი, მაღალი მხატვრული ღირსების ლექსი „დედა ენა“, რომელიც პირველად დაბეჭდა „ივერიამ“ 1881 წელს.

რაფიელ ერისთავს მრავალი პატრიოტული ლექსი აქვს შექმნილი, მათ შორის მარტო „სამშობლო ხევსურისა“ ისეთი რანგის ნაწარმოებია, რომელიც დაბეჭდვისთანავე აიტაცა ქართველმა მკითხველმა და „უკვდავების ბინადარი“ გახადა. ლექსის მარადიულ სიცოცხლეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამამულო ომის მძიმე დღეებში საბჭოთა ჯარისკაცებს აღაფრთოვანებდა ამ ქმნილების სტრიქონები:

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა“...

ასეთი ლექსებით, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე 1895 წელს, „რაფიელმა შექმნა თავისი საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები“.

ჩვენს სასიქადულო პოეტს უყვარდა თავისი ხალხის არა მარტო აწმყო და მომავალი, არამედ მისი გმირული წარსულიც, იგი ამაყობს თავის წინაპართა თავდადებული ბრძოლებით.

გარდა ერეკლე მეორისა და სხვა დიდგვაროვანთა გმირული სახელებისა, პოემა, „ასპინძის ომში“ რაფიელმა გააცოცხლა სამშობლოს სიყვარულით ანთებული ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანების სახელები.

კახიო ბოცლიაშვილი, —
აქებენ რაებს შერებაო?
გამგელებულა ეს თუში,
წინ ვერვინ დაუდგებაო,
ნაცუდა ქუიძაშვილი,
რა კონჭარივით ხტებაო, —
— შვიდი დაკაფა
ხმალდახმალ.
რიგი ხანჯალზე დგებაო“.

პატრიოტი მწერლის ნაწარმოებთა გმირები მზად არიან მოწამეობრივი სისხლი დაღვარონ თავიანთი საყვარელი სამშობლოსათვის. მამულის სიყვარულის ეს კეთილშობილური გრძნობა აისახა არა მარტო მის ლირიკაში, არამედ მოთხრობებში, დრამატულ ნაწარმოებებში, პოემებსა და პუბლიცისტიკაშიც.

ჰუმანისტმა მწერალმა, უანგარო საზოგადო მოღვაწემ რაფიელ ერისთავმა უმწიკვლოდ მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. ღვაწლმოსილი მწერალი გარდაიცვალა 1901 წელს 77 წლის ასაკში.

ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ღირსეულად დააფასა იგი და ჩვენი ერის დიდი მოამაგეების ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მეთაურობით, საქართველომ 1895 წელს საყოველთაოდ იდღესასწაულა მისი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე, რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. ამიტომაც იუბილემ ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო. საიუბილეო საღამოზე რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა 16 წლის სემინარიელმა იოსებ ჯუღაშვილმა. ეს ლექსი „სოსელოს“ ფსევდონიმით დაიბეჭდა 1895 წლის 29 ოქტომბრის „ივერიაში“.

ერის მოჭირნახულე ჭაღარა პოეტის რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღესასწაულს ქართველმა ხალხმა საერო დღესასწაული უწოდა, ხოლო ამ შემთხვევის გამო გამოცემულ საგანგებო კრებულს „საერო დღესასწაული“ დაარქვა, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები წარუმძღვარა:

რაც ერთხელ ცხოვლად
სულს დაჩნდების,
საშვილიშვილოდ
გარდაიცემის.

შ. ვაშაყმაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

მოამაგე

რაფიელ ერისთავმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული მუზეუმის დაარსების კეთილშობილურ საქმეში. იგი გატაცებითა და სიყვარულით აგროვებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამუზეუმო ექსპონატებს, მეგობარ თანამოკალმეებსაც მხურვალედ მოუწოდებდა, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში აქტიურად ჩაბმულიყვნენ.

რ. ერისთავმა მუზეუმში მუშაობის პერიოდში ხალხში გაბნეული ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული ნივთი შეაგროვა.

შემდეგში მართალია რ. ერისთავი სამსახურებრივი და ლიტერატურულ - საზოგადოებრივი საქმეებით საკმაოდ იყო დატვირთული, მაგრამ მას ჩვენი დედაქალაქის მუზეუმთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი პოპულარული სამუზეუმო წერილებით და შინაარსიანი რეცენზიებით მორიდანაც მონაწილეობდა სამუზეუმო საქმეებში, დროდადრო საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდა მუზეუმის მუშაკებს და უადვილებდა შრომას.

ჩვენი კულტურის დიდი მოამაგე რ. ერისთავი დაუცხრომლად იღვწოდა ეროვნული ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. თავისი საკუთარი ბიბლიოთეკიდან რაფიელმა მრავალი წიგნი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. რ. ერისთავმა თვალსაჩინო დახმარება გაუწია ცნობილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე როსტომაშვილს 1884 წელს ქ. თელავში ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის დაარსების საქმეში.

შ. მარკოზაშვილი,
საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

რაფიელ ერისთავი
რაფიელ ერისთავი
სამშობლო ხევსურისა
რაფიელ ერისთავი
რაფიელ ერისთავი

საიუბილეოდ...

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ ჩვენი გამომცემლობანი მშვენიერ ნობათებს სთავაზობენ წიგნის მოყვარულთ.

„ნაკადულმა“ ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიით ცალკე წიგნად გამოსცა რ. ერისთავის თხზულებანი (რედაქტორი მ. ზუბადალაშვილი, ტირაჟი 20.000).

თვალს მოგტაცებთ ლამაზად დასურათებული პაწია წიგნი, რომლის გარეკანზეც მოხატულია ბრდღვიალა მზე და ცას მიბჯენილი მაღალი მთები. ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად დასტამბა. ეს წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული. რედაქტორია ა. ბრეგვაძე, ტირაჟი 15000.

გამომცემლობა „განათლება“ მასწავლებლის თანამგზავრის სერიით მკითხველებს სთავაზობს შ. ვაშაყმაძის ნაშრომს „რაფიელ ერისთავი“ (რედაქტორი ნ. გიორგობიანი, ტირაჟი 4000).

ამავე ავტორის ბროშურა გამოსცა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“.

რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი

ექსპონატები მოგვითხრობენ

სოფელ ქისტაურში, პოეტის სახლ-მუზეუმში

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდი საზოგადო მოღვაწისა და ეროვნული კულტურის თავდადებული მუშაკის რაფიელ ერისთავის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტია თავმოყრილი პოეტის მემორიალურ სახლ-მუზეუმში სოფელ ქისტაურში (თელავის რაიონი).

ფუტკარივით ჩუმი და ნაყოფიერი მუშაკი, უსაზღვროდ მოყვარული თავისი სამშობლოსი, ჰუმანისტი, სპეტაკი და თავმდაბალი პოეტი თავისი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და თაყვანისცემით იყო გარემოცული. ამაზე მეტყველებენ ის გულთბილი მოგონებანი, რომლებიც ჩაწერილია მუზეუმის მუშაკების მიერ რაფიელ ერისთავის მომსწრე გლეხებისაგან.

რაფიელ ერისთავი, მოგვითხრობს, მაგალითად, სანდრო ფარემუზოვი, ხალხის ცხოვრებაში ფრიად ჩახედული იყო. თავადებისაგან შეწუხებული გლეხობა ყოველთვის ერთი სულით მოელოდა მის გამოჩენას სოფელ ქისტაურში. იცოდნენ, რომ მისგან მხარდაჭერას და სიმართლეს ჰპოვებდნენ და იმედიანად წარმოთქვამდნენ მუქარას — დამაცადეთ, მობრძანდეს ჩვენი რაფიელი და მაშინ იქნება თქვენი დღეო.

რაფიელ ერისთავის კაცთმოყვარეობასა და დაჩაგრულთათვის მზრუნველობაზე მეტყველებს მუზეუმში დაცული დოკუმენტები — მიწის ნაჩუქრობის სიგელები, გაცემული ქისტაურელ გლეხებზე თვით რაფიელის მიერ.

რაფიელ ერისთავი თავისი კაცთმოყვარეობით ქისტაურელი ხალხის გულში ჩასახლებულა და თინიების, თანდილების, ბერუების და სესიების შვილებს, განათლებული და კულტურული ერის შვილებს დღესაც მოგვიწოდებს სამშობლოს უდიდესი სიყვარულისკენ, შრომისა და თავდადებისაკენ, ხალხისადმი უანგარო, სპეტაკი სამსახურისკენ. მისი მოღვაწეობა ხომ უდიდესი მაგალითია ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის.

მადლიერი ხალხი უდიდესი სიფაქიზით ინახავს მის მემკვიდრეობას, პოეტის უდიდესი დაფასებისა და პატივისცემის გამოხატულებაა სახლ-მუზეუმიც მის მშობლიურ სოფელში.

სახლ-მუზეუმი დაარსებიდან 24 წელს ითვლის და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს პოეტის სახელის პოპულარიზაციისათვის, მისი ღრმადმნიშვნელოვანი მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

სახლ-მუზეუმში ფაქიზად ვინახავთ პოეტის პირად და ოჯახურ ნივთებს, ხელნაწერებს, პირად წერილებს და სხვ. ყოველწლიურად მდიდრდება სახლ-მუზეუმი მემორიალური და თემატური ხასიათის ექსპონატებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა პოეტის საიუბილეოდ. პოეტის მშობლიურ სახლს, რომელიც აგებულია ორასზე მეტი წლის წინათ, ესაჭიროებოდა აღდგენა-რესტავრაცია, რისთვისაც რაიონმა სათანადო თანხები გაიღო. სახლ-მუზეუმი კაპიტალურად შეკეთდა. მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები შეასრულა საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ. მშენებლები მზრუნველობით ეკიდებოდნენ სახლის მემორიალური სახის შენარჩუნების საკითხს, მის თვითეულ აგურს თუ კრამიტს. სახლ-მუზეუმში ჩატარდა აგრეთვე გამოფენის რეექსპოზიცია. გამოფენა განახლდა და გამდიდრდა თემატურად, აღდგენილ იქნა მრავალი დოკუმენტური მასალა, მოპოვებულია ახალი მასალები ფოტოდოკუმენტების და ხელნაწერების სახით.

შევიძინეთ ნაშრომი რაფ. ერისთავის ძმის შვილიშვილის მარიამ დავითის ასულ ერისთავისაგან, რომელიც მოგონებების გარდა, მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს რ. ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან პოეტის ურთიერთობის შესახებ. შევიძინეთ გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტი რ. ერისთავის ქალიშვილის ნინოსი.

მუზეუმმა შეიძინა აგრეთვე ე. ოჩიაურის ჭედურობა „ხევსური" — რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა" მოტივებზე, აგრეთვე ხ. ქოიავას ჭედური ნამუშევრები — „მთხოვნელი მსაჯულისადმი" და „ვაზო, შვილივით ნაზარდო". ჩვენმა თანამემამულემ მხატვარმა რეზო ნარტყოშვილმა ხეზე შეასრულა თემატური პანო რ. ერისთავის ლექსის „ნეტა რას სტირი, დედილო" მიხედვით და სხვ.

ყოველი წლის აპრილში ქისტაურელი მშრომელები თავს იყრიან იმ პატარა ტყიან ფერდობზე, სადაც დგას ყველაწმინდის ეკლესია, სადაც არის რაფ. ერისთავის მამა-პაპის საფლავები (1901 წლიდან 1938 წლამდე აქ განისვენებდა უკვდავი პოეტის ნეშტიც). და ეთაყვანება სახელოვანი თანამემამულის ხსოვნას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სახლ-მუზეუმმა პატარა ობელისკის დადგმა იმ ადგილზე, სადაც განისვენებდა პოეტის ნეშტი. სახლ-მუზეუმის წინადადებაა ამ ზეიმს მიეცეს უფრო ფართო ხასიათი, დაწესდეს საერთო-სახალხო დღესასწაული „რაფიელობა", რისთვისაც სათანადო ორგანიზაციებს და რესპუბლიკის მშრომელებს სთხოვს მხარდაჭერას.

რაფ. ერისთავის ცხოვრების, შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ მუზეუმში მოეწყო საიუბილეო სამეცნიერო სესია. რესტავრირებული, განახლებული მუზეუმი მზად არის სტუმართმოყვრულად მიიღოს საიუბილეო ზეიმის ყველა მონაწილე.

ნელი იოსებაშვილი,
ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

• • •

სურათზე: რაფიელ ერისთავი ცოლშვილთან ერთად.

ფრანგები ეცნობიან

პარიზი, 6 დეკემბერი. (საქდესის კორ.). საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარეობს საბჭოთა ფილმების კვირეული. იგი უკვე მეშვიდედ ეწყობა, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთისათვის საიუბილეო წელს, როცა აღინიშნება ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავი, იგი აქ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. კვირეულის გახსნა დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სამუშაო ვიზიტად ჩამოსვლას საფრანგეთში.

ამ დღეებში ხალხით იყო გაჭედილი პარიზის „გრან პალეს" სასახლის კინოდარბაზი, სადაც უჩვენებდნენ რეჟისორ ტ. ოკეევის ფილმს „ულმობელი", ა. მიხალკოვ-კონჩალოვსკის ფილმს „რომანსი შეყვარებულებზე", ს. გერასიმოვის „ქალიშვილები—დედები", ვ. შუქშინის „წითელი ძახველი", ე. შენგელაიას — „შერეკილები", ბ. შამშიევის „ისიკ-კულის წითელი ყაყაჩოები", ბ. მეტალნიკოვის „ექიმ ივენსის დუმილი" და ნ. გუბენკოს — „მოვიდა ჯარისკაცი ფრონტიდან".

მთელ რიგ ჩამოტანილ ფილმებს პარიზის გარდა უჩვენებენ ლენინგრადთან დაძმობილებულ ქალაქ ჰავრში.

ახლა საფრანგეთში იმყოფება საბჭოთა კინემატოგრაფისტების დელეგაცია, რომელშიც შედიან ცნობილი რეჟისორები ს. გერასიმოვი, ა. მიხალკოვ-კონჩალოვსკი, ე. შენგელაია, აგრეთვე ფილმში „რომანსი შეყვარებულებზე" მთავარი როლების შემსრულებლები ე. კორენევა და ე. კინდინოვი, ფილმში „შერეკილები" მთავარი როლის შემსრულებელი ა. შენგელაია. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა გუშინ მოაწყეს პრეს-კონფერენცია, რომელზეც ილაპარაკეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმების, საბჭოთა კინემატოგრაფისტების ამოცანების შესახებ.

საბჭოთა ფილმების კვირეული, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა პიერ ვიომ, ჩემი აზრით, მეტად საინტერესოა ფილმების შერჩევით. საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა საფრანგეთში ჩამოიტანეს როგორც ჟანრით, ისე მათი ავტორების ხელწერით სხვადასხვა ნამუშევრები. მოხარული ვართ, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდიებში დადგმულ ფილმებთან ერთად ფრანგი მაყურებლები ნახავენ ყირგიზეთის, ყაზახეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილ ნამუშევრებს. ფრანგები, პირველ რიგში ახალგაზრდობა, დიდი ინტერესით უყურებენ თქვენს ქვეყანაში შექმნილ ახალ ფილმებს, დარწმუნებული ვარ, თქვა დასასრულ პ. ვიომ, რომ საბჭოთა კინოს კვირეული წარმატებით ჩაივლის პარიზსა და ჰავრში და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურთიერთგაგების გაფართოების კეთილშობილურ მიზანს.

ო. კარასევი.

კონცერტებით შვიდ ქვეყანაში

„...1974 წლის 10 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო თვითმოქმედმა კოლექტივმა თბომავალ „ბალტიკით" საგასტროლო ტურნე გამართა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ კონცერტების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროგრამის გამძღოლს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ქართლოს კასრაძეს.

ქ. კასრაძე ბრწყინვალედ უძღვებოდა ყველა კონცერტს: ფინეთში (ფინურად), დანიაში (დანიურად), საფრანგეთში (ფრანგულად), ინგლისში (ინგლისურად), ნორვეგიაში (ნორვეგიულად), შვეციაში (შვედურად)... მისმა მონაწილეობამ ამ კონცერტებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის, მშვიდობის განმტკიცების საქმეს..."

ეს სტრიქონები ამოღებულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის სახელზე მიღებული ოფიციალური წერილიდან.

ქართულმა ხელოვნებამ ამჯერადაც ასახელა დედასამშობლო. ქართულმა ნიჭმა ამჯერადაც გაიკაფა გზა ათასობით უცხოელის გულისაკენ.

ვინ იყვნენ ქართული კულტურის ეს დესპანები?

... სპი-ს დელეგაციის ხელმძღვანელი ო. წეროძე, ფანდთა ვოკალური „ცისფერი ტრიო" — თ. სიდამონიძე, თ. აბესაძე, მ. თავართქილაძე, მოცეკვავეთა ჯგუფი, მომღერალი სოლისტები — ე. კაკულია, ნ. გამყრელიძე, მ. ფარაჯანოვი, მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი სპი-ს საესტრადო ორკესტრი (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ა. მუსერიძე), კონცერტის მუსიკალური ხელმძღვანელი — გ. კალანდაძე, ქორეოგრაფი—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. ბაგრატიონი.

ჰელსინკი, კოპენჰაგენი, ამსტერდამი, პარიზი, ლონდონი, ოსლო, სტოკჰოლმი ტაშს უკრავდა სტუდენტების ხელოვნებას. უცხოეთის პრესამ ითქვა კასრლის უწოდა „თეთრი ზიდი",—ცისფერი ტბის ზედაპირზე" და „წითელი მიხაკი — შავი როიალის ფონზე".

შვეციაში სტოკჰოლმის გაზეთ „ლენსტიდნინგენის" ხელოვნებათმცოდნემ, კრისტერ დიუკემ ქართლოს კასრაძის შესახებ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „პატარა ჩაპლინი".

საბჭოთა ტურისტები იყვნენ ქანდაკებისა და ფერწერის სალონებში, ჰამლეტის ციხე-სიმაგრე ელსინორაში, ამსტერდამისა და კოპენჰაგენის ფერწერის მუზეუმებში; ნახეს რემბრანდტის შედევრები, ოსლოს ტურ ჰეიერდალის მუზეუმი, იყვნენ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და მუზეუმებში, ეიფელის კოშკზე, მონმარტრზე, ვერსალში, პერლაშეზე, ლუვრში, ლონდონის მადამ ტიუსოს სანთლის ქანდაკებათა მუზეუმში.

დაუვიწყარი იყო შეხვედრები მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებთან, უცხო ქვეყნების მუშათა კლასთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ კონცერტების შემოსავლის მთლიანი თანხა გადარიცხულ იქნა მშვიდობის დაცვის ფონდში.

ვუსურვებთ სპი-ს თვითმოქმედ კოლექტივებს შემდეგ წარმატებებს!..

ვ. მაჭავარიანი.

პოლონური იუმორი



ულვაში დაგავიწყდა...



ასე გთხოვ — მე დანიშნული ვარ ხელმძღვანელ პოსტზე.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე

რ. [illegible] — „ყვავილები"

გმირები არ კვდებიან

საფრანგეთის პატარა ქალაქი პერიგა. მის ცენტრში, ბორცვზე აღმართულია ძეგლი. ვარდისფერ გრანიტზე ერთმანეთის ქვეშ ამოკვეთილია გვარები: ი. ალხანიშვილი, ი. აბრამიძე, ი. ჩხენკელი, ე. ებრალიძე, ა. პეტრიაშვილი, ნ. მოგებაძე, ს. აბულაძე, ა. მირიანაშვილი, დ. ვერულაშვილი.

ძეგლის კვარცხლბეკთან მუდამ ცოცხალი ყვავილებია.

ვინ და როდის აუგო ძეგლი ქართველებს საფრანგეთში? რა დამსახურებისათვის?

ამ ამბის გარკვევამ ქალაქ რუსთავში მიგვიყვანა. აქ შევხვდით ქალაქის ძველ მკვიდრს ბექან ალხანიშვილს.

— დიახ, ჩემი უფროსი ძმა იოსები საფრანგეთშია დაკრძალული. აი როგორია ეს ძეგლი, რომელიც მადლიერმა ფრანგმა მეგობრებმა აუგეს მათ, — თქვა მან და გვიჩვენა ფოტოსურათები, ფრანგული გაზეთები, ბროშურები. ვიყავი საფრანგეთში, თითქმის თვე გავატარე იქ.

იოსებ და ბექან ალხანიშვილები — ჭაბუკები სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგიდან — ფრონტზე მოხალისეებად წავიდნენ, თანაც ბექანს, მე-9 კლასის მოსწავლეს, ის იყო შეუსრულდა 17 წელი. ბექანი, რომელიც სამჯერ დაჭრეს კრივოი როგის, დნეპროპეტროვსკისა და კრემენჩუგის მისადგომებთან, დიდების ორდენის, სხვა ორდენებისა და მედლების კავალერია, იბრძოდა მტრის სრულ განადგურებამდე და დაბრუნდა შინ. იოსებს ამაოდ ეძებდნენ. პასუხი მხოლოდ ერთი იყო: „...უკვალოდ დაიკარგა".

და აი ომის დამთავრებიდან 22 წლის შემდეგ ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი წერდა იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტა გაქცევა ცხრა ქართველმა სამხედრო ტყვემ, რომლებიც ერთ-ერთ ფაშისტურ ბანაკში იტანჯებოდნენ სამხრეთ საფრანგეთში, როგორ გაანადგურეს დაცვა, ხელთ იგდეს იარაღი და შეეფარნენ ტყეს, სადაც მოძებნეს პარტიზანები და შეუერთდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის რაზმს.

ახალ მეგობრებთან ერთად მათ ბევრი გმირობა ჩაიდინეს, მაგრამ ძალები აშკარად არ იყო თანაბარი. ქალაქ პერიგასთან რაზმი გაანადგურეს, ქართველი პარტიზანები ტყვედ ჩაიგდეს და ყველა მცხოვრების თვალწინ მოედანზე გაიყვანეს, სადაც კიდევაც დახვრიტეს.

ოცდაათი წლის შემდეგ ბექანი, იოსების უმცროსი ძმა, საფრანგეთში ჩავიდა, რათა თაყვანი ეცა ძმის საფლავისათვის, მადლობა გადაეხადა ფრანგი მეგობრებისათვის იმის გამო, რომ მათ ძეგლი აუგეს საბჭოთა ჯარისკაცებს მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მღელვარე იყო შეხვედრა ფრანგ გლეხ ქალთან მუნკ კომზილეიკთან, რომელიც ქართველი გმირი მეომრების დახვრეტას ესწრებოდა, კომუნისტ ადვოკატთან ლეონ ლიხტენბერგთან, რომელიც პარტიზანთა რაზმში იბრძოდა ალხანიშვილთან და მის მეგობრებთან — ექვს სხვა ყოფილ პარტიზანთან ერთად. სწორედ მათ, საკუთარი სიცოცხლის რისკით, დაკრძალეს ტყეში ქართველი ჭაბუკები, ხოლო შემდეგ მთელი პატივით გადაასვენეს ძველ მეომართა სასაფლაოზე. დაღუპვიდან 20 წლის შემდეგ ფრანგ არქიტექტორთა პროექტით, მათ ძეგლი აუგეს.

ბექანმა იქ ჩაიტანა ერთი მუჭა მშობლიური მიწა, ფილა, რომელზეც რუსთაველმა მხატვარმა ოთარ დავითულიანმა გამოკვეთა მუხლმოყრილი თვალცრემლიანი ქართველი დედა და წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „გმირები არ კვდებიან". იქიდან კი წამოიღო ფრანგული გაზეთები, მათ შორის დიდად პოპულარული „ლე პოპულერ დიუ სენტრი", რომელიც მკითხველებს აცნობს საფრანგეთის მიწაზე ქართველი მეომრების გმირული დაღუპვის ამბავს.

რ. დავიდოვი,
საქინფორმის კორ.

უცხოური მოზაიკა

•

მწყემსის სალამური — ასთმის წინააღმდეგ

„დაუკარით მწყემსის სალამური დილით და დღისით, საღამოს, როცა კი საშუალება მოგეცემათ", — ასე ურჩევს ორი სიდნეელი (ავსტრალია) ექიმი თავის პაციენტებს, რომლებსაც ასთმა აწუხებთ.

ორიგინალური მკურნალობის ამ საშუალებამ საიმედო შედეგები მოგვცა. ასეთი თერაპიული მკურნალობით ნორმალურად გრძნობს თავს ასამდე ავადმყოფი, რომლებსაც ჩვეულებრივი მეთოდებით მკურნალობა ვერ შველოდათ.

სალამურის დაკვრა, თუ ურველდ ვარჯიშობთ, განმარტავენ სპეციალისტები, უფრო მეტად უწყობს ხელს სუნთქვის რიტმის გაუმჯობესებას, ვიდრე ფიზიკური ვარჯიში. ამის შესახებ თავის მკითხველებს მოუთხრობს ინგლისური ჟურნალი „ნიუ-საიენტისტი".

ვ. გოგლიძის მემორიალი

გროსმაისტერის კვერთხით?!

სტუმარი „გეიზერების ქვეყნიდან" გუდმუნდურ სიგურიონსონი არ მალავს, რომ თბილისიდან სურს გროსმაისტერის „კვერთხით" დაბრუნდეს სამშობლოში. ისლანდიელმა მოჭადრაკემ მემორიალი „თავმდაბლურად" დაიწყო — პირველი სამი ტურის შემდეგ ერთი ქულა ჰქონდა. შემდეგ იგი აზარტში შევიდა — მომდევნო 5 პარტიიდან 4 მოიგო და ერთი ყაიმით დაასრულა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ისლანდიელი 8 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მერვე ტურში მან იოლად მოუგო შნაპიკს.

დიდი სიმძაფრით გამოირჩეოდა ბაგიროვ-გურგენიძის პარტია. თბილისელმა შუა თამაშში აჯობა მეტოქეს, მოიგო პაიკი და გააუვნებლა თეთრების ტაქტიკური მუქარა. ორმხრივ ძლიერ ცაიტნოტში ბაგიროვი კარგად იცავდა თავს. წარმოიქმნა ეტლების ენდშპილი შავებისათვის ზედმეტი პაიკით, მაგრამ, საყაიმო პოზიციით. მეტოქეებმა ჯერ გადადეს შეხვედრა, მაგრამ შემდეგ თამაშის განუახლებლად შეთანხმდნენ ყაიმზე. ხოლმოვს ეტლი დარჩა ლებრედოს ორი მხედრის წინააღმდეგ. ამ მატერიალური დანაკლისის მიუხედავად ხოლმოვმა, ისარგებლა შავი მეფის სუსტი საფარით და ყაიმს მიაღწია. ყაიმზე შეთანხმდნენ ტუზოვსკი-შმიდტი, გიორგაძე-უბილავა (ჩვენი რესპუბლიკის სამივე წარმომადგენელს საერთაშორისო ოსტატის ბალის შესრულების კარგი შესაძლებლობა აქვს), ნიჩევსკი-გაფრინდაშვილი და კინ-გუფელდი. ჩოკილტიამ უარყო ბოხოსიანის მიერ შეთავაზებული ყაიმი და პარტია გადადო მწვავე პოზიციაში. გუშინ დილით შეხვედრის განახლებისას რუმინელი მოჭადრაკე შეცდა და წააგო. ეს ჩოკილტიას პირველი დამარცხებაა. 8 ტურის შემდეგ წაუგებლად თამაშობენ გუფელდი, გიორგაძე, ხოლმოვი და კინი.

გუშინ მეცხრე ტურში ლებრედომ მოუგო ჩოკილტიას, ბაგიროვმა — შმიდტს. გაფრინდაშვილი-გიორგაძე და უბილავა-სიგურიონსონი ყაიმზე შეთანხმდნენ.

9 ტურის შემდეგ 6 ქულით პირველ ადგილზეა სიგურიონსონი. 5,5 ქულა მოაგროვა გიორგაძემ.

42-ე საკავშირო

ყაიმები, ყაიმები...

მეექვსე ტურში 5 პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ პოლუგაევსკი-ვაჰანიანი, ცეშკოვსკი-სავონი, კუზმინ-რომანიშინი, დვორეცკი-ბალაშოვი, ვასიუკოვ-ტალი. პირველი პარტია მოიგო გრიგორიანმა, რომელიც ტაიმანოვს ეთამაშებოდა. ორი პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ კვლავ წინ არის ვაჰანიანი, რომელსაც 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 3,5 ქულა მოაგროვეს ბალაშოვმა, დვორეცკიმ, კუზმინმა, პოლუგაევსკიმ და ტალმა. ამასთან მოელიან, რომ მათ არა თუ წამოეწევა, არამედ გაასწრებს კიდეც რომანიშინი, რომელსაც 2 ქულა და 3 უკეთეს პოზიციებში გადადებული პარტია აქვს.

ტურნე უცხოეთში

სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი მატჩი გამართა ინდონეზიაში. საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქე იყო ქვეყნის უძლიერესი გუნდების ამას წინათ აქ გამართულ ტურნირში გამარჯვებული — ქალაქ უჯუნგ-პანდანგის გუნდი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. გოლები გაიტანეს შლაპაკმა და სლობოდიანმა.

ზამბიის ქალაქ ლუსაკაში მესამე შეხვედრა ჰქონდა მინსკის „დინამოს". მატჩი დამთავრდა მასპინძელთა — ქვეყნის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ოდესის ჩერნომორეცმა დაამთავრა ტურნე სუდანში. ხართუმში მან ბოლო მატჩი მოუგო ჩრდილოეთ ხართუმის კლუბების ნაკრებს ანგარიშით 4:1.

შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი

თბილისის სტადიონებზე დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდების ჩემპიონატი. ჩინებულად ითამაშეს ამ ასპარეზობაში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის ფეხბურთელებმა. პირველობის მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათ უკანასკნელ შეხვედრას მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდთან. ლიდერებს შესაბამისად 11 და 10 ქულა ჰქონდათ 12 შესაძლებლიდან. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0. ამრიგად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა.

რესპუბლიკის ჩემპიონები

კომპოზიციის ოსტატი

ჯერ კიდევ 1959 წელს, ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურსზე მსაჯების ყურადღება მიიპყრო ტყიბულელი მოსწავლის ვლადიმერ სავჩენკოს ამოცანებმა, რომლებიც საქები და საპატიო შეფასებებით აღინიშნა. ამ თვალსაჩინო დებიუტმა თავბრუ არ დაახვია ახალგაზრდას. ნიჭიერი პრობლემისტი განაგრძობდა დაუღალავ შრომას, რამაც უკანასკნელ წლებში შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ვ. სავჩენკო საქართველოს ჩემპიონი გახდა სამსვლიანი ამოცანების განხრით, მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში.

ამოხსნისათვის გთავაზობთ რესპუბლიკის II ჩემპიონატზე წარმოდგენილ მის ერთ-ერთ სამსვლიან ამოცანას, რომელიც საყურადღებოა მსუბუქი კონსტრუქციითა და ლამაზი საშამათო სურათებით.

3. სავჩენკო, 1966



შამათი 3 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

3. ნეიძე.

ხოლმოვის უკვდავი პარტია

ცნობილი გროსმაისტერი რატმირ ხოლმოვი ხშირად მონაწილეობს საქართველოში გამართულ ტურნირებში. 1947 წელს იგი ჯერ პირველთანრიგოსანი გახდა, შემდეგ ოსტატობის კანდიდატი და ოსტატი. ამ ხნიდან მოყოლებული, იგი საკავშირო ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში, როგორც წესი, ჩინებულ შედეგებს აღწევს. ახლა გროსმაისტერი ვ. გოგლიძის მემორიალის მონაწილეა და...

ხოლმოვმა გაიმარჯვა დრეზდენის, ბალატონფიურედის, საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის, აშხაბადის (აზიის ქვეყნების მოჭადრაკეთა შეჯიბრება), ბუქარესტის და სხვა ძლიერ საერთაშორისო ტურნირებში.

მსოფლიოს ჩემპიონ ფიშერს ხოლმოვი ორჯერ ეთამაშა. ანგარიშია 1:1.

ხოლმოვი იშვიათი შეუპოვრობით იცავს მძიმე პოზიციებს (მას ხუმრობით „ცენტრალურ მცველს" უწოდებენ), ჩინებულად ატარებს კონტრშეტევას, აქვს კარგი ტექნიკა. გთავაზობთ პარტიას საბჭოთა კავშირის 26-ე ჩემპიონატიდან, რომელიც თბილისში გაიმართა 1959 წელს. ამ პარტიამ მაშინ ულამაზესის პრიზი დაიმსახურა.

ხოლმოვი — კერესი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 მf6 4. e5 მg4 5. კ:c6 dc 6. 0-0 g6 7. ეe1 კg7 8. h3 მh6 9. მc3 b6 10. d4 cd 11. მ:d4 c5 12. მc6! ლd7 13. მ:e7!! მფ:e7 14. კ:h6! კ:h6 15. ლf3 კg7 16. მd5+მფd8 17. ეad1 კb7 18. ლb3 კc6 19. მ:b6! ab 20. ლ:f7 და მალე შავები დანებდნენ.

მე-12 სვლაზე შავებს არ შეელოდათ ლ:d1 13. ე:d1 კb7 14. მb5! კ:c6 15. მc7+მფf8 16. მ:a8 თეთრების გადამწყვეტი უპირატესობით.

მე-13 სვლაზე თუ შავები იღებენ ლ:d1 14. ე:d1 მფ:e7 15. კg5+მფe6 16. ეd6+მფf5 17. f4 თეთრების დიდი უპირატესობით.

გ. გამრეკელი.



სურათზე: რ. ხოლმოვი ელოდება მეტოქის სვლას.

ბუნება და ადამიანები

[illegible]

მურა დათვი მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებისა და ლეგენდების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟთაგანია. ამ მხრივ იგი როდი ჩამოუვარდება მგელს, მელას...

დათვის მთელი ცხოვრება უღრან ტყესთან არის დაკავშირებული. იგი ერთადერთი მტაცებელია, რომელსაც შეუძლია იცხოვროს ისე, რომ არ ჭამოს ცხოველური საკვები, თუ ვეგეტარიანული საკმარისად ექნა. ამის გამო დათვს არ სჭირდება სწრაფი სირბილი და ნახტომი. მაგრამ ეს როდი მოწმობს იგავ-არაკებში გაბატონებულ აზრს ამ ცხოველის სიზანტესა და მოუხეშაობაზე. საჭიროების შემთხვევაში დათვი ამჟღავნებს საოცარ სისწრაფეს, კოლოსალურ ძალასა და მოხერხებულობას. ზოგიერთ შამრს თამამად შეუძლია ირმის, ცხენირმისა და სხვა დიდ ცხოველთა დამორჩილება და მათი საკმაოდ შორ მანძილზე ზიდვა. ჩრდილოეთში მცხოვრები მურა დათვი არ ეპუება ისეთ მძვინვარე მტაცებელს, როგორიც ვეფხვია. ასე, მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთში ამ ორი ნადირის თერთმეტი რეგისტრირებული შებრძოლებიდან ხუთ შემთხვევაში ძალები თანაბარი აღმოჩნდა, სამში — ვეფხვმა დასჯაბნა მოწინააღმდეგე, ორი—დათვის გამარჯვებით დამთავრდა (ორივე შემთხვევაში დათვმა შეჭამა ვეფხვი). ერთ შემთხვევაში ორთაბრძოლა შეწყვიტა მონადირემ. მან მოკლა დათვი.

ზემოთ თქმულით გასაგებია, რომ ზრდადასრულებულ დათვს ბუნებაში მტერი თითქმის არა ჰყავს.

მსხვერპლს დათვი მაშინვე როდი შეექცევა. მყუდრო ადგილას დააყრის ხოლმე მას ფიჩხებს, ტოტებს, ხავსს და უბრუნდება მაშინ, როდესაც ხორცს ცოტათი სუნი დაჰკრავს. ხართოდ არ ერიდება ლეშს. კვების მიზნით დათვი არასდროს არ ესხმის თავს ადამიანს. პოტენციალურად საშიშია იგი მხოლოდ გაზაფხულზე, როდესაც ბუნაგიდან გამოსული შიმშილისაგან გაავებული დაძრწის, ანდა ე. წ. მოხეტიალე დათვები — სხვადასხვა მიზეზით რომ ზამთრის ძილს არ ეძლევიან.

შემოდგომის დამლევს სუსხიანი ზამთრის წინ, დათვი იმალება ბუნაგში და ზამთრის ძილს ეძლევა. ამისათვის ყველაზე მიუდგომელ ადგილში, ნადირი თხრის ღრმა ბუნაგს მიწაში, ხშირად კი იყენებს მზა გამოქვაბულებსა და კლდეთა ნაპრალებს. ძილის ხანგრძლივობა სხვადასხვაა და გრძელდება 5-6 თვემდე.

სულ ბოლო დრომდე გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, დათვები ზოგიერთი ცხოველებისათვის (ღამურა, ზღარბი, თრია...) დამახასიათებელ ნამდვილ ზამთრის ძილს არ ეძლევიან. დათვი ბუნაგშიაც ინარჩუნებს სხეულის მუდმივ ტემპერატურას, სიცოცხლისუნარიანობას, სიფხიზლეს. ბიოლოგიურად ზამთრის ძილს ის დანიშნულება აქვს, რომ წლის ამ პერიოდში ნადირს საკვების მოპოვება და თავის შენახვა ძალიან უჭირს.

თებერვალში იბადება ორი-სამი ბელი. უზარმაზარ დედასთან შედარებით ბელები სასაცილოდ პატარები — სულ ნახევარი კილო, შიშვლები და უმწეოები იბადებიან. ბელები ასეთი პატარები იმიტომ ჩნდებიან, რომ მდედრი მაკეობისა და ძუძუს წოვების პერიოდში არაფრით არ იკვებება.

მდედრი ბელების დიდი მოყვარულია. გარდა ბუნაგიდან წამოგდებული მხეცისა, არ არსებობს საფრთხე, რომლის შიშითაც მან მიატოვოს აღსაზრდელები. მშობელი დიდი გულისყურით წვრთნის პატარებს.

გონებრივი განვითარებით დათვი ცხოველთა სამყაროს „ინტელექტუალთა" ათეულში შედის. ამის გამო მას ადვილად ათვინიერებენ და ცირკის „ცნობილი მსახიობებიც" გამოჰყავთ.

ადამიანის მიერ მურა დათვის საცხოვრებელი გარემოს შეცვლამ, მასზე უსისტემო ნადირობამ გამოიწვია ამ ცხოველის არეალისა და რიცხვის მკვეთრი შემცირება. ამჟამად იგი, როგორც ძვირფასი და იშვიათი ნადირი, ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციას თავის „წითელ წიგნში" ჰყავს შეყვანილი. თუმცა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, დათვების ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი პოპულაცია გაგვაჩნია მთელ დედამიწაზე ამ ნადირის გავრცელების მხრივ, ამჟამად ჩვენში მასზე ნადირობა აკრძალულია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ლიცენზიებით ნადირობის გარდა, დათვის მოკვლა ბრაკონიერობად ითვლება და კანონით ისჯება.

ის გარემოება, რომ ეს მეტად საინტერესო ცხოველი ჩვენთან ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება, გვავალდებულებს განსაკუთრებით დავიცვათ იგი — როგორც ჩვენი ბუნების თავისებური მშვენება.

არნ. გეგეჭკორი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ტელევიზია

8 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— კინოპროგრამა, 11.30 — მხატვრული ფილმი „ულმობელი", 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია — ფიზიკაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ნაკადულის ნობათი", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.30 — „პროდუქცია, ხარისხი, მომხმარებელი", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა".

მეორე პროგრამით

18.05 — მასწავლებლის საათი. ხაზვა, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — მასწავლებლის საათი. ქიმია, 19.45 — განცხადებები, 19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად—ლექცია სკკპ ისტორიაში, 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

9 დეკემბერი

პირველი პროგრამით

16.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.40 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.00 — ცხრაკლიტული, 19.00 — რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ხიდი" 1 ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 23.15 — ახალი ამბები, 23.25 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — კინოპროგრამა, 18.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.20 — სატელევიზიო ფილმები, 20.20 — განცხადებები, 20.25 — მხატვრული ფილმი — „რეზიდენტის შეცდომა" (1 სერია).

თეატრები

8 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კვაჭი კვაჭანტირაძე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

რედაქტორი
 დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უი 02883
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14